



სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის  
საკითხებზე მოწონებულია და რეკომენდირებულია  
საპარტიველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ

# დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე

ავტორთა ჯგუფი

კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი  
მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა აბაშიძე  
ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი

თბილისი, 2010

სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე შეიქმნა გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის — „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ ფარგლებში 2010 წელს.

ამ პუბლიკაციაში ჩამოყალიბებული შეხედულებები განხილულ უნდა იქნას როგორც ავტორთა შეხედულებები და არა როგორც გაეროს მოსახლეობის (UNFPA) ფონდის და ნორვეგიის მთავრობის შეხედულებები.

დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე 2010

საბოლოო ანგარიში

დამატებითი ინფორმაციისთვის ამ ანგარიშის შესახებ მიმართეთ:

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი, ერისთავის ქუჩა 9, ტელ: (995 32) 25 11 26

გამოცემის ელექტრონული ვერსია: [www.genderbasedviolence.ge](http://www.genderbasedviolence.ge)

დაბეჭდილია: შპს ფაუნტეინ ჯორჯია

ISBN: 978-9941-0-2931-8

## სარჩევი

1.	რეცენზია.....	3
2.	შესავალი.....	5
3.	ოჯახში ძალადობის თეორია.....	5
4.	ოჯახში ძალადობის რეგულირების სამართლებრივი მექანიზმები.....	9
5.	ძალადობის ფორმები.....	10
6.	ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთის და დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.....	11
7.	პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის აღკვეთის საქმეში.....	13
8.	დამცავი და შემაკავებელი ორდერები.....	19
9.	დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხები.....	24
10.	ორდერის გასაჩივრების პროცედურები.....	25
11.	ძალადობის და თანხლები სამართალდარღვევების განსაზღვრა და გამოჯვანა.....	28
12.	ოჯახში ძალადობის პრევენცია.....	29
13.	პოლიციის ზედამხედველობა შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში და პოლიციის სტრატეგია და მექანიზმები ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას.....	32
14.	ოჯახში ძალადობის გავლენა ბავშვზე.....	34
15.	თავშესაფარი.....	38
16.	პოლიციის და სხვა ორგანიზაციების ერთობლივი მოქმედების ეფექტურობა.....	39
17.	დანართი 1 – შემაკავებელი ორდერი.....	43
18.	დანართი 2 – შემაკავებელი ორდერის ოქმი.....	45
19.	დანართი 3 – ინსტრუქცია ოჯახში ძალადობის საკითხებზე.....	49

## 1. რეკონსტრუქცია

წინამდებარე პუბლიკაცია მოიცავს ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შესახებ. დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია მულტიდისციპლინური ექსპერტების მიერ და განკუთვნილია საქართველოს სამართალდამცავთათვის. მასში კვალიფიციურად არის განმარტებული ოჯახში ძალადობის არსი და მისი გამოხატვის ფორმები. განხილულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი პრევენციულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება აუცილებლად შეამცირებს ოჯახში ძალადობის შემთხვევებს და თავიდან აიცილებს მძიმე შედეგებს.

დამხმარე სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს პოლიციის როლს ოჯახში ძალადობის აღკვეთის საქმეში. მასში, ადამიანის უფლებათა სრული დაცვით, დეტალურად არის ჩამოყალიბებული პოლიციელის თანამიმდევრული მოქმედებები, როგორც ძალადობაზე ოპერატიული რეაგირების დროს, ასევე რეაგირების შედეგად გამოცემულ შემაკავებელი და უფრო მოგვიანებით კი სასამართლოს მიერ გამოცემულ დამცავი ორდერებით გათვალისწინებულ ღონისძიებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოჯახში ძალადობის შემთხვევების გავლენას არასრულწლოვანებზე. კვალიფიციურად არის გააზრებული იმ ერთობლივ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა გატარება მაქსიმალურად აარიდებს არასრულწლოვანებს უსიამოვნო განცდებს და ხელს შეუწყობს მათი ჯანსაღი ცნობიერების ფორმირებას მომავალში.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ოჯახში ძალადობის აღკვეთა-აცილების საქმეში უდიდესი როლი აკისრია შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ სამსახურებს, მისი ეფექტურობის ამაღლებისა და სრულყოფილებისათვის აუცილებელია კოორდინირებული თანამშრომლობა აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობაზე და მექანიზმებზე აგრეთვე დეტალურად მსჯელობენ სახელმძღვანელოს ავტორები.

დაბოლოს ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სპეციალურად შექმნილი ინსტრუქციის ხასიათის სახელმძღვანელო სასარგებლო შედეგს იქონიებს არა მხოლოდ პოლიციელების შესაბამისი საქმიანობაზე, აგრეთვე უდვოდ საინტერესო იქნება აღნიშნული საკითხის მკვლევარებისათვის. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტი საკმაოდ ახალგაზრდა მექანიზმია ქართულ სამართლებრივ სივრცეში, მისი დანიშნულების სწორად გაგების უზრუნველსაყოფად მეტად ინფორმაციული იქნება ქართული საზოგადოებისთვისაც.

ხატია ლეკაშვილი

შსს აკადემიის რექტორი



## 2. შენახალი

სამართალდამცავი ორგანოების როლი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში რადიკალურად შეიცვალა. პოლიციამ გაცნობიერა რა ამ სამართალდარღვევის არსი, შეცვალა თავისი დამოკიდებულება პრობლემისადმი და პრიორიტეტი მსხვერპლის უსაფრთხოებას მიაჩნია. შესაბამისად, თანდათან შეიცვალა გამოძიების წარმოების, დაკითხვის ოქმების შედგენის, ოფიცერთა გადამზადების და საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურებთან მუშაობის მეთოდები.

ოჯახში ძალადობა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების მიზნით ხდება.

საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის შედეგად, უმრავლესობა ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს. თუმცა ჩამოთვლილი ფაქტორები მხოლოდ ძალადობის ხარისხზე მოქმედებენ და, გარკვეულწილად, პროვოცირების ელემენტებად შეიძლება განიხილებოდეს. რაც შეეხება მიზეზებს ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები: **ძალაუფლება და კონტროლი**.

დღეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია, რომ ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახის წევრებს არ ეხებათ და ძალადობა, ის ოჯახში მოხდება თუ ოჯახს გარეთ, აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. შესაბამისად, ბევრმა სახელმწიფომ ამ პრობლემის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად სპეციალური კანონმდებლობები შექმნა ან უკვე არსებულ კანონმდებლობებში ცვლილებები შეიტანა. „ოჯახური ძალადობის“ დეფინიცია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობაშიც გაჩნდა. აღნიშნულმა დეფინიციებმა ოჯახური ძალადობა აღიარა ისეთ ქმედებად, როცა სახელმწიფო ვალდებულია პრობლემის პრევენციისათვის გარკვეული ღონისძიებები გაატაროს და, შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მსხვერპლები და მასზე დამოკიდებული პირები შემდგომი ძალადობებისაგან დაცვას. სახელმწიფომ საზოგადოების წინაშე ვალდებულება იკისრა, ებრძოლოს ძალადობას ოჯახში და იზრუნოს მისი პრევენციისათვის.

## 3. ოჯახში ძალადობის თეორია

საერთაშორისო პრაქტიკა ოჯახში ძალადობის მრავალი თეორიას იცნობს. ამგვარი თეორიების არსებობა ოჯახური ძალადობის მიზეზებისადმი საერთო მიდგომის შემუშავებისკენა მიმართული და საზოგადოებას დაეხმარება ძალადობის მიმართ უფრო ეფექტური საპასუხო ზომების ჩამოყალიბებაში.

როცა 1970-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო **ნაცემ ქალთა მოძრაობა**, თეორია იმის თაობაზე, თუ რატომ სცემენ მამაკაცები ქალებს, ეფუძნებოდა **ფსიქოპათოლოგიას**. ამ თეორიის მიხედვით, მამაკაცები, რომლებიც თავიანთ ცოლებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ფსიქიკურად დაავადებულნი იყვნენ და მათი განკურნება შეიძლებოდა წამლების

ან ფსიქიატრიული მკურნალობის საშუალებით. თუმცა, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ოჯახური ძალადობის ჩამდენთა ყოფაქცევა არ შეესაბამებოდა ფსიქიკურად დაავადებული პიროვნების მახასიათებლებს. მოძალადეები თავს ესმიან მხოლოდ მათ უახლოეს პარტნიორებს ან ცოლებს, ხოლო ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები, მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულები, ძალადობას მხოლოდ თავიანთი უახლოესი პარტნიორების მიმართ არ ავლენენ.

მოგვიანებით ჩამოყალიბდა ე.წ. ძალადობის “დასწავლილი ქცევები” თეორია. აღნიშნული თეორიის მიხედვით მამაკაცების მიერ თავიანთი ცოლების ცემა განპირობებული იყო იმით რომ მათ ეს ძალადობა ბავშვობაში თავიანთ ოჯახებში ისწავლეს, ხოლო ქალები იმიტომ ირჩევდნენ მოძალადე მამაკებს, რომ ისინი ბავშვობიდანვე ხედავდნენ როგორ სცემდა მამა დედას. გარდა ამისა, ქალები რომლებიც ბავშვობაში ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლები იყვნენ, ზრდასრულ ასაკშიც ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.

**„დასწავლილი ქცევები“** თეორიას მჭიდროდ უკავშირდება თეორიები, რომელთა მიხედვით, ძალადობა წარმოადგენს კონტროლის დაკარგვის შედეგს. მაგალითად, მრავალს მიანიჭდა, რომ მამაკაცები მაშინ არიან მოძალადენი, როცა სვამენ, რადგან **ალკოჰოლი** მათ კონტროლს აკარგვინებს. სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცების ძალადობა წარმოადგენდა მათი რისხვისა და იმედგაცრუების გაკონტროლების უუნარობის შედეგს. ამ თეორიების თანახმად, შექმნილი საზოგადოებრივი მოლოდინი ხელს უშლიდა მამაკაცებს რისხვისა და იმედგაცრუების გამოხატვაში. ეს გრძნობები გროვდებოდა მანამ, სანამ მამაკაცი დაკარგავდა კონტროლს და გათავისუფლდებოდა ამ გრძნობებისგან ძალადობის გამოყენებით.

**„კონტროლის დაკარგვის“** თეორია წინააღმდეგობაში მოდის მოძალადის საქციელთან. მოძალადე თავის ძალადობას სიფრთხილით წარმართავს განსაზღვრული ადამიანების მიმართ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე. მაგალითად, მოძალადეებს “ურჩევნაო, არ გაარტყან თავიანთ უფროსებს ან პოლიციის მუშაკებს მიუხედავად იმისა, რამდენად გაბრაზებული არიან ან ვერ აკონტროლებენ საკუთარ თავს”

მოძალადეები საკუთარი „ძალადობრივი საქციელის შესახებ წესებისა და კანონების“ მიხედვით მოქმედებენ. ისინი თავიანთ პარტნიორებს უფრო ხშირად მაშინ სცემენ, როცა მართონ არიან, ან ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის ხილული ნიშნები არ დატოვონ. მოძალადეები თავიანთ ტაქტიკასაც ფრთხილად ირჩევენ – ზოგი საკუთარებს ანადგურებს, ზოგი მუქარას იყენებს, ზოგი კი ბავშვებს ემუქრება. ამ გადაწყვეტილებებით, „მოძალადეები არჩევენს აკეთებენ იმათ შორის, თუ რას უზამენ მსხვერპლს და რას – არა თვით მაშინაც კი, როცა ამტკიცებენ, რომ სრულ გონებაზე არ არიან ან საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგეს.“ გადაწყვეტილებების მიღების ეს უნარი უჩვენებს, რომ ისინი სინამდვილეში აკონტროლებენ თავიანთ ძალადობრივ საქციელს. სინამდვილეში, ოჯახური ძალადობის აღკვეთის ფონდის მიერ ამ ბოლო დროს ჩატარებულ გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ აგრესიულობის ზრდასთან ერთად მრავალი მოძალადე უკეთესად აკონტროლებს თავს და უფრო მშვიდდება.

„დასწავლილი უმწეობის“ სახელით ცნობილი თეორია ერთობ პოპულარული გახდა. ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეონორ ვოლკერმა შეისწავლა იმ ქალთა ყოფაქცევა, რომლებიც მოძალადე ქმრებთან თანაცხოვრების გაგრძელებას არჩევენ. ვოლკერის ჰიპოთეზის თანახმად, ქალების გადაწყვეტილება – გააგრძელონ ცხოვრება მოძალადე ქმრებთან ერთად – მდგომარეობს იმაში, რომ მუდმივი შეურაცხყოფა მათ გაყრისათვის საჭირო ნებისყოფას ართმევს.

თუმცა, „დასწავლილი უმწეობის“ თეორია ვერ ხსნის იმ ფაქტს, რომ არსებობს მრავალი სოციალური, ეკონომიური და კულტურული მიზეზი, რომლის გამოც ქალმა შესაძლოა არჩიოს მოძალადე ქმართან დარჩენა. ქალს ამისათვის სშირად საკმაოდ გონივრული მიზეზები აქვს, კერძოდ, ემინა მოძალადე ქმრის მხრიდან ანგარიშსწორებისა როგორც მის, ასევე, ბავშვების მიმართ, ანდა შესაძლებელია, არ აქვს საკუთარი თავის ან ბავშვების ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება.

„ძალადობის ციკლი“ შემდეგი თეორიაა, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მზარდი პოპულარობა მოიპოვა. ეს თეორია ეფუძნებოდა წარმოდგენას, თითქოს მამაკაცები არ გამოხატავდნენ თავიანთ რისხვასა და იმედგაცრუებას იმიტომ, რომ მათ ასწავლიდნენ, არ გამოევიდნათ გრძნობები. მამაკაცის დაძაბულობა იზრდებოდა მანამ, სანამ ის აფეთქდებოდა და მოძალადე გახდებოდა. დაძაბულობა განიტვიტრებოდა და წყველი ტკბებოდა „თაფლობის თვის“ პერიოდით, რომლის განმავლობაშიც ქმარი სინანულით აღსავსე იყო.

ამ თეორიას სშირად აიგივებდნენ „ოჯახური/ურთიერთობის კონფლიქტის“ მოდელთან. ამ მოდელის მიხედვით, „ორივეს, ქალსაც და კაცსაც, ბრალი მიუძღვის ცოლ-ქმრული ურთიერთობისა წარმოშობილ ძალადობაში.“ აღნიშნული მოდელის თანახმად, ან ურთიერთობა ხასიათდება ორმხრივი ძალადობით ან „სშირ შემთხვევაში, ცოლი იწვევს ქმარს ზღვარგადასული კამათით, რაც საფუძვლად ედება ქმრის ძალადობრივ რეაქციას.“ ქალის საქციელი იწვევს მამაკაცში დაძაბულობის ზრდას მანამ, სანამ მამაკაცი აფეთქდება და გამოავლენს მრისხანებას. ამას კი მოჰყვება „თაფლობის თვის“ პერიოდი.

ის, რაც ყველა ამ თეორიას მსხვედველობიდან გამორჩა, არის მოძალადის მიერ მისი პარტნიორის მოქმედებებზე, ფიქრებსა და გრძნობებზე კონტროლის დამყარების განზრახვა. შეურაცხყოფის დღევანდელი გაგება, რომელიც „ძალაუფლება და კონტროლის ციკლი“ ასახულია, ნაცემ ქალებსა და მოძალადეებთან სანგრძლივი დისკუსიის შედეგად, „ოჯახური ძალადობის აღკვეთის პროექტი (DAIP)“ დულუსში ჩამოყალიბდა. „ძალაუფლება და კონტროლის ციკლი“ აღწერს იმ სხვადასხვა ტაქტიკას, რომლებსაც მოძალადე იყენებს თავის პარტნიორზე ძალაუფლებისა და კონტროლის შესანარჩუნებლად.

ურთიერთობებში, სადაც ქმარი ცოლს სცემს, მოძალადე იყენებს ტაქტიკის ისეთ მოდელს, რომელიც აღწერილია „ძალაუფლება და კონტროლის ციკლი“ში, რომლის მიზანაც არის, განამტკიცოს მის მიერ ფიზიკური ძალადობის გამოყენება. ძალადობრივი ინციდენტები კონტროლის დაკარგვის განყენებულ შემთხვევებს არ წარმოადგენს. ისინი არც რისხვისა და

იმედგაცრუების პერიოდული გამოვლინებებია. პირიქით, თითოეული შემთხვევა არის იმ ყოფაქცევის ნიმუში, რომელიც გამიზნულია მსხვერპლზე ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელებისა და შენარჩუნებისთვის.

ამრიგად,

„ძალაუფლება და კონტროლის მექანიზმი“ ეფუძნება ვარაუდს, რომლის მიხედვითაც, ძალადობის მიზანია სხვა ადამიანზე ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელება.

### **ძალადობა ოჯახში**

ოჯახში ძალადობა მოიცავს ქმედებების ფართო სპექტრს – ერთჯერადი ძალადობრივი აქტიდან დაწყებული, ძალადობის მასობრივი ფორმებით დამთავრებული. ოჯახში ძალადობას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები და თავისებურებები - ანუ ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვით ხდება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება.

#### **ოჯახში ძალადობის 4 ძირითადი მახასიათებელი:**

ძალადობა ხორციელდება გარკვეული განზრახვით. საკუთარი საქციელის გასამართლებლად მოძალადე დეკლარირებას უკეთებს „კეთილ“ ზრახვებს, მაგრამ სინამდვილეში მისი განზრახვა სულ სხვაგვარია, აცნობიერებს ამას მოძალადე თუ არა;

ოჯახში ძალადობის არსი უპირველეს ყოვლისა ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვაში მდგომარეობს;

ოჯახში ძალადობას ახასიათებს ძალადასიმეტრია. ერთი მხარე (მოძალადე) ფლობს მატერიალურ, ფიზიკურ, ინტელექტუალურ ან ემოციონალურ უპირატესობას მეორე მხარის (მსხვერპლი) მიმართ და ცდილობს დაიმორჩილოს იგი;

ამ ქმედებას (ძალადობას) მოაქვს ზიანი. ზიანი შეიძლება იყოს ფიზიკური, ეკონომიური, ემოციონალური. თუ ფიზიკური ზიანი ადვილად შესამჩნევია, ფსიქოლოგიური ზიანის განსაზღვრა რთულდება.

#### **ოჯახში ძალადობის მახასიათებლები:**

ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება – ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან და დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე;

ოჯახში ძალადობა დროში განანგრძლივებულია და აქვს ზრდის ტენდენცია;

ძალადობის სუბიექტები, როგორც წესი, ერთმანეთზე არიან დამოკიდებულიები, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახი მალაეს ამ ფაქტს.

### **ძალადობის შორბალი**

ოჯახში ძალადობის ურთიერთობების განვითარების და დინამიკის ასახსნელად არსებობს რამდენიმე (უოლკერის, ლანდგრებერგერის, დულუტის და სხვა) მოდელი. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ლენორ უოლკერის მოდელი – ძალადობის ციკლი.

ციკლის I ფაზა – **დაძაბულობის ზრდა** – ხასიათდება პიროვნებებს შორის დაძაბულობის ესკალაციით, სიტყვიერი შეუთანხმებლობითა და მცირე ფიზიკური შეხლა-შემოხლით. მსხვერ-

პლი ცდილობს დაამშვიდოს პარტნიორი, რომ თავიდან აიცილოს სერიოზული კონფლიქტი. შიში და უსუსურობის განცდა მატულობს იმის მიხედვით, რამდენად სერიოზულია კონფლიქტი. I ფაზა შეიძლება გაგრძელდეს თვეები და წლებიც კი სანამ დაძაბულობა არ მიაღწევს პიკს და მოხდება სერიოზული ინციდენტი.

II ფაზა – **ძალადობის სერიოზული ინციდენტი** – შეიძლება გაგრძელდეს 2-დან 24 საათამდე. ამ ფაზაზე მსხვერპლს არ შეუძლია რაიმე გაელენა მოახდინოს სიტუაციაზე იმის გარდა რომ დაიცვას თავი და საკუთარი შეილები დაზიანებისაგან. ძალადობის I ფაზის შემდეგ ზოგი მსხვერპლი უმაღლე წყვეტს ურთიერთობას მოძალადესთან, მაგრამ განიცდის მძიმე სულიერ ტრამვას, რომელიც მას შესაძლებელია მთელი ცხოვრება თან გაჰყვეს. მსხვერპლთა უმეტესობა კი ამ ფაქტს მალავს. ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, მსხვერპლი ჰპატიობს თავის პარტნიორს შეურაცხყოფას. აქ უკვე საქმე გვაქვს ციკლის III ფაზასთან – მოძალადე ითხოვს პატივებს და იღებს კიდევ მას, ის იმავე წუთს უცებ იდეალური პარტნიორი ხდება, ხშირად ამ ფაზას „თავლობის თვის“ ფაზას უწოდებენ. სწორედ აქ იმალება ამ შერიგების საშიშროება. შერიგების პროცესში მსხვერპლს უწდება ილუზია, რომ შეიძლება მის ცხოვრებაში ყველაფერი სიკეთისკენ შეიცვალოს – ამას უმტკიცებს პარტნიორიც და ცდილობს ამაში დაარწმუნოს კიდევ იგი. მაგრამ გადის დრო და დაძაბულობა ურთიერთობებში კვლავ მატულობს, ძალადობის ციკლი მეორდება. ყოველი ციკლით ძალადობა სულ უფრო და უფრო მძიმე ფორმებს იღებს, ხოლო შერიგების პერიოდი მცირდება და დროის განმავლობაში საერთოდ ქრება.

## 4. ოჯახში ძალადობის რეპულირების სამართლებრივი მექანიზმები

„ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“. აქვე აღინიშნება, რომ ამით საქართველოს კანონმდებლობაში პირველად განისაზღვრა ოჯახში ძალადობის დეფინიცია, რითაც მომზადდა იურიდიული საფუძველი დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოსაცემად.

**კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებში იგულისხმება** ყველა ის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, კანონის წინაშე თანასწორობა; სიცოცხლის უფლება; თავისუფალი განვითარების უფლება; პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის დაუშვებლობა; თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის დაუშვებლობა; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება; საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება; განათლების მიღების უფლება და სხვა.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მიზანია:

- ა) შექმნას ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები;
- ბ) შექმნას ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის;
- გ) უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;
- დ) შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლები;
- ე) უზრუნველყოს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

## 5. ძალადობის ფორმები

საქართველოს კანონმა ხუთი სახის ძალადობის ფორმა შემოიტანა. კანონი თითოეულ მათგანს განმარტავს:

**ფიზიკური ძალადობა:** ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ფსიქოლოგიური ძალადობა:** შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს;

**ეკონომიკური ძალადობა:** ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას;

**სექსუალური ძალადობა:** სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწუბრის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ;

**იძულება:** ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ანდა რომლისგან თავის შეკავება მისი უფლება ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

### მსხვერპლი და მოძალადე

საქართველოს კანონის მიხედვით, **მსხვერპლი** არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

**მოძალადე** არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ახორციელებს.

რაც შეეხება **ოჯახის წევრის** ცნებას, მხოლოდ და მხოლოდ კანონის მიზნებისათვის, ეს ცნება გაფართოებულია. ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე.

## 6. ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და დასჯის სამართლებრივი მექანიზმები

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს კანონიც, ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, **დამცავ და შემაკავებელ ორდერებს** იყენებს.

**დამცავი ორდერი** არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. ეს ღონისძიებები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

**შემაკავებელი ორდერი** არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც, გამოცემიდან კანონით დადგენილი დროის, 24 საათის, განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

### მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება:

მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები;

მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები;

მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთბიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა; მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები; მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება; სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

**თავშესაფარი** გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელს ან დროებითი განათავების ადგილს, რომელიც მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება. დღეს საქართველოში სახელმწიფო თავშესაფარი გვაქვს, ასევე არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები, რომლებიც მსხვერპლთა დახმარებასა და რეაბილიტაციას ღონისძიებენ/საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით უზრუნველყოფენ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევები მხოლოდ სპეციალური კანონით („ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“) არ რეგულირდება; ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებიც, კერძოდ:

**სისხლისსამართლებრივი მექანიზმები** გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთ ნიშნებს, როგორცაა: სხეულის განზრახ მიძიმე დაზიანება; გაუბატოურება; თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ან დაკარგვა და სხვა ამგვარი;

**სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები** გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი. ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად:

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.
2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები** გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შესაბამისად.

## 7. პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის აღკვეთის სახეშე

2006 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონის ამოქმედებით ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში ჩამოყალიბდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზირებული ინსტიტუტი, რომელიც ოჯახში ძალადობის არსებობის შემთხვევაში დაუბრკოლებლად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, დამოუკიდებლად იმისაგან, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული საკითხი სამართლის რომელიმე დარგის დავის საგანს. ამასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში ოჯახში ძალადობისა და აღკვეთისათვის იყენებს სისხლისსამართლებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ და ადმინისტრაციულსამართლებრივ მექანიზმებს.

თავისი მიზნების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად კანონში განსაზღვრულია სახელმწიფო დაწესებულებების ცალკეული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები. კანონის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ახორციელებს პირველად რეაგირებას. შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბერს №10179 ბრძანებით და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები და მათი შედგენის უფლებამოსილი პირები. ეს პირები არიან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფების შემდეგი თანამდებობის პირები:

- ოცეულის მეთაურები;
- ათეულის მეთაურები;
- უფროსი პატრულ-ინსპექტორები;
- პატრულ-ინსპექტორები;
- უმცროსი პატრულ-ინსპექტორები;

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე ქვეყნის ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულებში განსაზღვრული არ არის მისი სტრუქტურული ერთეულების მოქმედების არეალი. სწორედ ამიტომ აღნიშნული ბრძანება, ასეთ ტერიტორიულ ერთეულებში ზემოაღნიშნული აქტების გამოცემის უფლებამოსილებას ანიჭებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უზნის ინსპექტორებს.

კანონის მე-16 მუხლში თანამდებურად არის ჩამოყალიბებული პოლიციელის მოქმედებები ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში. ის შეიძლება იყოს წერილობითი ფორმით, შესაძლებელია ინფორმაციის ავტორი პირადად გამოცხადდეს პოლიციის დანაყოფში და სიტყვიერად განაცხადოს ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ, მაგრამ ყველაზე ხშირად ეს ინფორმაცია დანაყოფში შევა კავშირგაბმულობის საშუალებებით. პოლიციამ ინფორმაცია შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა პირმა.

აღსანიშნავია ის გარემოება რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

კანონის მიხედვით ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით და იძულებით. ამ კანონის მიზნებისათვის კი ოჯახის წევრი არის დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სძიე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე. ოჯახში ძალადობის სახეები დეტალურად არის განხილული წინამდებარე სახელმძღვანელოს სვა თემებში. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ კანონშემოქმედი არ აკონკრეტებს, ოჯახში ძალადობის ადგილს, არც იმ ფაქტს, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთს უნდა ცხოვრობდნენ. ამ კანონის მიზნებისათვის მნიშვნელობა არ აქვს ძალადობაში მონაწილე პირთა ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს და არც შემთხვევის ადგილს. ასეთ შემთხვევაში ოჯახში ძალადობად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც მოხდა ზემოაღნიშნულ პირთა შორის, მიუხედავად იმისა ეს ადამიანები ერთმანეთს ცხოვრობენ თუ არა, ანდა ძალადობა განხორციელდა საცხოვრებელ ბინაში თუ ვთქვამთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (მაგალითად ყოფილი მეუღლეები, რომლებიც ერთმანეთს აღარ ცხოვრობენ, სადაო საკითხების განსახილველად შეხვდნენ დასასვენებელ პარკში სადაც განხორციელდა ძალადობა). გამომდინარე აქედან პოლიციელი ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება, თუკი ძალადობის ინციდენტი განხორციელდა ოჯახის წევრთა შორის. შემაკავებელ ორდერში, შემაკავებელი ორდერის ოქმში ან კონფლიქტის აღრიცხვის ბარათში, დაფიქსიროს ძალადობის ჩადენის ადგილის ზუსტი მისამართი, ინფორმაცია ძალადობის საგარაუდო მსხვერპლის, მოძალადის და მათი რაოდენობის შესახებ, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, მაგალითად: ხომ არ აქვს ძალადობას ადგილი შეტყობინების მომენტში, აგრეთვე ინფორმაცია ოჯახის სხვა წევრთა შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, ხომ არ იმყოფებიან ოჯახში არასრულწლოვნები.

ინფორმაციის მიღებისთანავე, თუ ამის შესაძლებლობა არის პოლიციელმა უნდა გადაამოწმოს მონაცემები ერთიან საინფორმაციო ბანკში, ძალადობის ადგილის მისამართის მიხედვით. ადრეც ხომ არ ყოფილა გამოძახება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით. მისი არსებობის შემთხვევაში უნდა გაირკვეს რა ღონისძიებები იქნა გატარებული და არის თუ არა მოქმედებაში შემაკავებელი ან დამცავი ორდერი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, თუ ვინ იყო დაფიქსირებული ძალადობის მხარეებზე და ხომ არ არის მოძალადის შესახებ რაიმე დამატებითი ინფორმაცია. აქვს თუ არა მოძალადეს ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება. აქვს თუ არა ნასამართლეობა ან დაკის-

რებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა რაიმე სამართალდარვევაზე. ირიცხება თუ არა მასზე, ან ოჯახის სხვა წევრზე ცეცხლსასროლი იარაღი.

პირველადი ინფორმაციის მიღებისთანავე მორიგე ჯგუფი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ძალადობის ადგილზე. გაცილებით ეფექტური იქნება, თუ შემოადინებული ინფორმაციას მორეაგირე პოლიციელთა ჯგუფი მიიღებს შემთხვევის ადგილზე მგზავრობის პერიოდში ოპერატიული მორიგისაგან. ოპერატიულ მორიგეს აგრეთვე შეუძლია, ზემოაღნიშნული საინფორმაციო ბაზის გარდა ინფორმაცია მოიძიოს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურის მიერ წარმოებული უბნის პასპორტიდან და საჭირო ცნობები დროულად გადასცეს მორეაგირე ჯგუფს.

შემთხვევის ადგილზე გასულ პოლიციელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტი ოჯახის თითოეული წევრისათვის მეტად მნიშვნელოვანია და თავი შეიკავონ პირველივე შემხვედრისათვის მისვლის მიზეზის გამხელისაგან.

თუ პირველადი ინფორმაციით ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მონაწილე მინც ქალია, ან არასრულწლოვანი, სასურველია მათთან კონტაქტის გაადვილების უზრუნველსაყოფად შემთხვევის ადგილზე გამოცხადდეს აგრეთვე ქალი პოლიციელი (თუ ოჯახის წევრ ძალადობის მსხვერპლ ქალთან ახსნაგანმარტების ჩამორთმევას კაცი პოლიციელი განახორციელებს, შესაძლებელია ამ გარემოებამ მოძალადე მამაკაცებზე უარყოფითად იმოქმედოს. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უფრო ეფექტური იყოს არასრულწლოვანებთან ქალი პოლიციელის გასაუბრება). შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ინფორმაცია ოჯახის შესახებ თითოეული ამ ოჯახის წევრის პირადი საიდუმლოებაა. მისი დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა უნდა განხორციელდეს კანონის ფარგლებში და ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. თუმცა დაზარალებულის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაც პოლიციელის ვალდებულებაა, თითოეული ადამიანის პირადი უფლებების დაცვა კი საჯარო ინტერესს წარმოადგენს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

თუ პირველადი ინფორმაციით ძალადობა უშუალოდ შეტყობინების მიღების მომენტში ხორციელდება პოლიციელი პირდაპირ გამოცხადდება ძალადობის მისამართზე და მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას ძალადობის აღსაკვეთად. აუცილებლობის შემთხვევაში, არსებული წინააღმდეგობის დასაძლევად, კანონიერებისა და პროპორციულობის სრული დაცვით გამოიყენებს მის უფლებამოსილებაში არსებულ ძალას, როგორცაა ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები, ან კონტროლის სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, ხელკეტი, ელექტროშოკი და სხვა. (პოლიციელის მიერ ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი ჩამოყალიბებულია საქართველოს კანონში პოლიციის შესახებ. კერძოდ მის მესამე თავში).

არ არის გამორიცხული შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ პოლიციელს საცხოვრებელი სახლის კარები არ გაუღონ. თუ ასეთ გარემოებას თან ერთვის სახლიდან გამოსული ხმაური და ხმამაღლა ლაპარაკი, ან ზავშეგების ტირილის ხმა, რის გამოც პოლიციელს გაუჩნდება

კონიერული ეჭვი, რომ ბინაში რაღაც კანონსაწინააღმდეგო ხდება, ის ვალდებული გახდება მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ვიდრე ვითარებაში არ გაერკვევა. თუ საჭირო იქნება დაარღვიოს კიდევაც სხვისი ბინის ან სხვა მფლობელის ხელშეუხებლობა.

ოჯახში შესვლის დროს გაითვალისწინოს საინფორმაციო ბაზაში არსებული ინფორმაცია, გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე საკუთარი თავისა და სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დააშორიშოროს მხარეები. განცალკევებით გამოჰკითხავს სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, აგრეთვე ოჯახის არასრულწლოვანი წევრი, რაც წერილობით დააფიქსიროს. წერილობითი ახსნა-განმარტებები ჩამოართვას ძალადობის მოწმეებსა და ოჯახის სხვა წევრებს.

სასურველია პოლიციელმა გამოსაკითხი პირისაგან თანხმობის მიღების შემდეგ განახორციელოს საუბრის აუდიო ჩაწერა. რომელსაც დაურთავს საქმის მასალებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოძალადეს და არ დატოვოს მისი არც ერთი მოქმედება ყურადღების გარეშე, რათა დროულად იქნას აღკვეთილი მოძალადის მიერ სხვისთვის ან საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა.

მომხდარი ინციდენტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიციელის პროფესიონალიზმთან. მისი გარეგნული მოწესრიგებულობა, თავაზიანობა და კეთილგანწყობა, დამაჯერებელი საუბარი კანონის, მაგრამ რიგითი მოქალაქეებისათვის გასაგებ ენაზე, წარმატების მიღწევის სავალდებულო წინაპირობაა. დამტვრეული ავეჯი ან სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, სავარაუდო მსხვერპლის სხეულის ხილულ ადგილებზე არსებული ჩალურჯებები, ან სხვა დაზიანებები, ნამტირალევი თვალები, ფერმკრთალობა, საერთო სისუსტე ან სხეული გამოფიტვა, როდესაც ოჯახის საერთო მდგომარეობა ერთი შეხედვით ეკონმიკუ გაჭირვებაზე არ მიანიშნებს, საკმარისია იმის სავარაუდოდ, რომ შესაძლოა ოჯახში ადგილი ჰქონდეს ძალადობას. ასეთ დროს პოლიციელი მუტი გულისყურით უნდა მოეკიდოს დაზარალებულს, გააცნოს მას თავისი უფლებები. განუმარტოს ძალადობის არსი და მისი განმეორადობითი ბუნება. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ძალადობა ერთხელ მოხდა და ის რეაგირების გარეშე დარჩა, დიდია ალბათობა იმისა, რომ ის კიდევ განმეორდება და სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მოქმედება. აუხსნას სავარაუდო მსხვერპლს შემაკავებელი ორდერის არსი და ამ ორდერით გათვალისწინებული მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების დანიშნულებების შესახებ. შეეცადოს განუმარტოს მას, რომ უმჯობესია ადრეულ ეტაპზევე მოხდეს ძალადობის აღკვეთა, ვიდრე ის უფრო აგრესიულ ფორმაში გადაიზარდება და აუცილებელი გახდება მოძალადის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფრო მკაცრი ღონისძიებების განხორციელება. თუ მიუხედავად ასეთი ძალისხმევისა მაინც ვერ მოხერხდა სავარაუდო მსხვერპლის მიერ ძალადობის ფაქტის აღიარება დაუტოვოს მას საკონტაქტო ინფორმაცია. შემთხვევის ადგილზე გამოცხადების შესახებ, თუ სახეზეა ოჯახში ძალადობა ან ოჯახური კონფლიქტი,

შეავსოს შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოწეროს შემაკავებელი ორდერი ან თუ სახეზეა ოჯახური კონფლიქტი, რომელიც არ იძლევა ორდერის გამოწერის წინაპირობას, შეავსოს კონფლიქტების აღრიცხვის ბარათი, რომელსაც წარუდგენს უშუალო უფროსს. შესაძლებელია დამატებით გაესაუბროს იმ ადამიანს, რომელმაც აცნობა პოლიციელს ძალადობის ფაქტის თაობაზე და სთხოვოს მას, რომ იყოს ყურადღებით და კვლავაც შეატყობინოს პოლიციას ეჭვის გაჩენის შემთხვევაში. ხოლო, თუ ამ პიროვნებას სავარაუდო მსხვერპლთან ახლო ურთიერთობა აკავშირებს სთხოვოს მას, რომ შეეცადოს ამ თემაზე ესაუბროს მსხვერპლს და დაარწმუნოს პოლიციის დახმარების რეალობაში.

პოლიციელი უზრუნველყოფს მსხვერპლის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში, თუ მსხვერპლი აღიარებს ძალადობის ფაქტს, ან არ აღიარებს მას და სხეულზე არსებულ დაზიანებებს საყოფაცხოვრებო ტრავმით ხსნის (ხელი დაეწვა, გაეჭრა სამზარეულოში საქმიანობის დროს, ან მის სხეულზე არსებული ჩალურჯებები საბაზანოში ფეხის დაცურების შედეგად მიიღო), მაგრამ ითხოვს მის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში.

პოლიციელი უზრუნველყოფს მსხვერპლის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში.

მსხვერპლის თხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი ან/და არასრულწლოვანის მსხვერპლის გადაყვანას თავშესაფარში. მსხვერპლის სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წაძღვლას. საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში პირველ რიგში მოიაზრება მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სურათიანი და ბეჭდით დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტობის დადგენა, არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა.

მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ შემთხვევაში პოლიციელი ვალდებულია უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც აცნობა ძალადობის ფაქტის თაობაზე. პირველ რიგში მოქმედებს უნდა გადასცენ პოლიციის საკონტაქტო ინფორმაცია და განუმარტონ მას, რომ მის მიმართ მოძალადის მხრიდან მუქარის ან ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს პოლიციას. გარდა ამისა თუ მოძალადე პირდაპირ მიანიშნებს იმის თაობაზე, რომ შეეცდება სამაგიერო გადაუხადოს ძალადობის მოქმედს, გააფრთხილონ იმის თაობაზე, რომ მის მიმართ განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მუქარა სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების შესახებ მკაფიოდ და დამაჯერებლად იქნება გამოხატული, როდესაც მუქარის ადრესატს ანუ იმას ვისაც ემუქრებიან გაუჩნდება მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში, შესაძლებელია დაიწყოს წინასწარი გამოძიება.

შეტყობინებაზე რეაგირების შემდეგ, თუ მტკიცებულებათა (ახსნაგანმარტებები, ნივთიერი მტკიცებულებები) სრული და ობიექტური გამოკვლევით დადასტურდება ოჯახში ძალადო-

ბის ფაქტი, პოლიციელი კანონით დადგენილი წესით გასცემს შემაკავებელ ორდერს ერთ თვემდე ვადით. შემაკავებელი ორდერი არის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის № 1079 და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №333 ბრძანებით უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. ამ ღონისძიებათა ჩამონათვალი მოცემულია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმაში, რომლიდანაც პოლიციელი შეარჩევს თითოეული ძალადობის შემთხვევაში ყველაზე უფრო მისაღებს. შესაძლებელია შერჩეულ იქნას დაცვის რამდენიმე ღონისძიება. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ოთხ ეგზემპლარად. ერთი გადაეცემა მსხვერპლს, მეორე – მოძალადეს, მესამე რჩება ოქმის გამომცემ უფლებამოსილ პოლიციელს, ხოლო მეოთხე ეგზემპლარი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი შეეხება არასრულწლოვანს, სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების შესახებ. შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოცემისთანავე. ის გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში ეგზავნება მხარეებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით. თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი ეხება არასრულწლოვანს, სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ შემაკავებელი ორდერის (საპატრულო პოლიცია, აგრეთვე ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურები), ან სასამართლოს მიერ დამცავი ორდერის გამოცემით, ოჯახში ძალადობაში დაზარალებულს ენიჭება მსხვერპლის სტატუსი, რომლის შემდეგაც მას შეუძლია ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით.

შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციული სამართლებრივ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (შემაკავებელი და დამცავი ორდერების შესახებ, აგრეთვე მათი მოთხოვნების დარღვევების შემთხვევაში პასუხისმგებლობის თაობაზე განხილულია ამ სახელმძღვანელოს სხვა თემებში).

ზემოაღნიშნული აქტის გარდა, უფლებამოსილი პოლიციელი ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ ადგენს ოქმს, რომლის ასლსაც წარუდგენს ზედამხედველ პროკურორს და სასამართლოს შემაკავებელ ორდერთან ერთად. მასში დეტალურად აღიწერება ძალადობის ფაქტი და მიენიშნება მისი დამადასტურებელი მტკიცებულებების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ გამოცემული არ იქნება შემაკავებელი ორდერი პოლიცია შეაგესს შს მინისტრის 2010 წლის 415 ბრძანებით დამტკიცებულ „ოჯახში კონფლიქტების აღრიცხვის ბარათს“, რომელსაც 5 დღის ვადაში წარადგენს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში.

პოლიციელმა უნდა იზრუნოს ძალადობის აღკვეთის ღონისძიების შემდგომ პერიოდზეც. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მისი წასვლის შემდეგ საკითხი ოჯახის წევრთა განსჯის სფერო იქნება. არ უნდა დატოვოს ოჯახში ისეთი ვითარება, რომელიც მისი წასვლის შემდეგ მდგომარეობის გართულებას გამოიწვევს.

პოლიცია ვალდებულია თავის ანგარიშში ცალკე გამოყოს მონაცემები ოჯახში ძალადობის ფაქტების, მიღებული ზომების, მსხვერპლის რაოდენობის, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების, აგრეთვე მოძალადის სხვა მონაცემების შესახებ.

პოლიციელის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების შემდეგ, ოჯახში ძალადობის თითოეულ შემთხვევაზე დეტალური ინფორმაცია შედის სასამართლოში, ზედამხედველ პროკურორთან, ამის თაობაზე სრული ინფორმაცია ინახება პოლიციის დანაყოფში. გამომდინარე აქედან, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ეს ორგანოები უფლებამოსილები არიან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დაიწყოთ წინასწარი გამოძიება, სასამართლოს შემთხვევაში კი ის დადგინილი წესით შეატყობინებს პროკურორს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს. წინასწარი გამოძიების დაწყების შემთხვევაში ოჯახში ძალადობის ინსტიტუტით გათვალისწინებული მოქმედებები აუცილებლობის შემთხვევაში დამოუკიდებლად განხორციელდება.

პოლიცია ახორციელებს ზედამხედველობას დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოთხოვნებზე და მათი დარღვევის შემთხვევაში ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას.

## 8. დამცავი და შემაკავებელი ორდერები

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ გამოიყენება არა ზოგადად საოჯახო ურთიერთობების დარღვეულობისათვის, არამედ ოჯახში ძალადობის აღკვეთისათვის. კანონი მიმართულია, ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვის, მოძალადისაგან განცალკევებისა და ძალა-

დობის განმეორებით თავიდან აცილებისათვის. ოჯახში ძალადობის ფაქტები მიეკუთვნება ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯად საქმეს, ხოლო სხვა დანარჩენი სამართალურ-თიერთობისათვის, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს ოჯახური ძალადობისაგან, მაგ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, შესაძლებელი გამოყენებულ იქნას სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია მოძალადის მიმართ გამოყენებულ და ამოქმედებულ იქნეს ორი ან მეტი მექანიზმი.

სრულიად ახალი მოვლენაა საქართველოს სამართლის სისტემაში, ეს არის პრევენციული ღონისძიების განმახორციელებელი მექანიზმი რომელიც გამოიყენება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში.

დამცავი და შემაკავებელი ორდერი ეს არის დროებითი შემზღუდავი ხასიათის ღონისძიების განმახორციელებელი აქტი, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მიმართულია ძალადობის ფაქტის ოპერატიული აღკვეთისაკენ, მსხვერპლის დაცვის, მოძალადისა და მსხვერპლის დაშორების და ძალადობის შემდგომი გამოვლინების აღკვეთისაკენ. მისი მიღება ხდება ოპერატიულად და სამართალწარმოებაც მიმდინარეობს შემჭიდრობულ ვადებში. ამკრძალავი ღონისძიება რომელიც მტკიცდება ორდერით კანონით წინასწარ არ არის განსაზღვრული, ყოველი კონკრეტული ქმედების მიმართ გამოყენებული უნდა იქნას კონკრეტული ადექვატური, მოქნილი და დაცვის სწრაფი მექანიზმი.

## დამცავი ორდერი

გამოიცემა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ფორმით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. დამცავი ორდერით განისაზღვრება მოძალადის მიმართ ამკრძალავი ღონისძიებების გამოყენების ადექვატური ფორმები, რომელიც მიმართულია ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლის დაცვისაკენ.

საქართველოს კანონით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მუხლი - 10.2. დამცავი ორდერის გამოცემა შესაძლებელია აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც, ოჯახში ძალადობის ნიადაგზე სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება, გამოსხატული ოჯახური ძალადობის ნიშნით. თუ ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე პირს (მოძალადეს) აღკვეთ ღონისძიებად შეფარდებული არ აქვს პატიმრობა, და მოძალადე პატიმრობაში არ იმყოფება, მსხვერპლის თხოვნით სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ და განუსაზღვრავს მოძალადეს შემზღუდავ ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება მსხვერპლის დაცვისაკენ. კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ოჯახური ძალადობის ნიადაგზე აღძრულ სისხლის სამართლებრივ დევნასთან და არა სხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებაზე.

## შემაკავებელი ორდერი

შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის უფლებამოსილი პირი. შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №1070 ბრძანებით, „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანებით, განისაზღვრა იმ პოლიციელთა ნუსხა, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის მსხვერპლის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოსცენ შემაკავებელი ორდერი, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს, დროებითი ხასიათის ამკრძალავ ღონისძიებებს უწესებს მოძალადეს.

რადგან, სასამართლო წარმოადგენს ერთადერთ ორგანოს, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება, პირის მიმართ შემზღუდველი ხასიათის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში მოახდინოს მისი დაკანონება და განუსაზღვროს ამკრძალავი ღონისძიებები პიროვნებას, **ორდერი დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში.**

**პირის მიერ სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ან შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

## დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლება

**დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება** აქვს მსხვერპლს - პირს ვინც უშუალოდ განიცადა მოძალადის მხრიდან ძალადობა, ოჯახის წევრს, ოჯახის წევრებს უფლება აქვთ მიმართონ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოს, ოჯახის ერთი წევრისაგან მეორე წევრის დაცვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი აქტი მიმართულია კონკრეტული პირის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ოჯახის წევრის სტატუსი ამ შემთხვევაში აძლევს უფლებას პირს მიმართოს სასამართლოს ოჯახის წევრის ინტერესების დასაცავად.

შესაძლებელია მსხვერპლი იმდენად იყოს დათრგუნული ძალადობით, ემინოდეს მასზე დამატებით ძალადობრივი აქტის განხორციელების, განიცდიდეს ოჯახის სხვა წევრების მიმართ შიშს, იყოს მათი მხრიდან მუდმივი ძალადობის ობიექტი, ან არ სურს განცხადების შეტანის გამო გახდეს მორიგი ძალადობის პირდაპირი ობიექტი, დათრგუნულია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს მას საშუალებას თავად მიმართოს სასამართლოს მოძალადისაგან დაცვის მიზნით, ამ შემთხვევაში განცხადებას სასამართლოში, მსხვერპლის თანხმობით, წარადგენს პირი, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეთურეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

პრაქტიკაში შესაძლებელია განდეს კითხვა, მსხვერპლის თანხმობა რა ფორმით (წერილობით თუ ზეპირად) უნდა იქნეს გაცემული. ასეთ შემთხვევაში სასურველია თანხმობა გაცემული იყოს წერილობითი ფორმით, მაგრამ კანონმდებელი კონკრეტულად არ უთითებს თანხმობის გაცემის ფორმას, დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართვის უფლების მქონე პირთა ჩამონათვალი – მკურნალი ექიმი, ფსიქოლოგი, იურისტი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია ასეთი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების მიღება წერილობითი თანხმობის გარეშე, მაგრამ ასეთი ფორმით წარმოდგენილი განცხადების განხილვის დროს სასურველია დადასტურებული იქნეს უშუალოდ მსხვერპლის მიერ განცხადების განხილვისას, ან წარმოდგენილი იქნეს იმის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომ განცხადების წარმომდგენი პირი არის მსხვერპლის მკურნალი ექიმი, ფსიქოლოგი, იურისტი და საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე მსხვერპლს არ შეუძლია თვითონ წარმოადგინოს განცხადება ან მონაწილეობა მიიღოს განცხადების განხილვაში. თუ სასამართლო განხილვისას არ დადასტურდება განცხადებაში მითითებული გარემოებები

**შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლება** აქვს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პოლიციელს. განსხვავებით დამცავი ორდერისა, ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის, პოლიციის უფლებამოსილი პირის გამოძახების უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს, შემაკავებელი ორდერის გამოცემისას პოლიციის უფლებამოსილი პირი განსაზღვრავს ორდერის გამოცემის და შესაბამისი შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს. ორდერის გამოწერის მოთხოვნა და შემაკავებელი ორდერის გამოწერა, დამოკიდებული არ არის მსხვერპლის და/ან კანონით უფლებამოსილ სხვა პირთა მოთხოვნაზე. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-11 მუხლით გათვალისწინებული დათქმა. ოჯახში ძალადობის ფაქტზე თუ პოლიციელი მიზანშეწონილად ჩათვლის ორდერის გამოწერას და მოძალადისათვის შესაბამისი შემზღუდველი ღონისძიებების დაწესებას მას კანონით ამის სრული უფლებამოსილება გააჩნია.

## დამცავი ორდერის მოქმედების ვადა

**დამცავი ორდერი** გამოიცემა ექვს თვემდე ვადით, რაც იმას ნიშნავს რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი ვადა ერთი დღიდან ექვს თვემდე (მაგ. 5 დღე, ერთი კვირა, ორი თვე).

## დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო

თუ არსებობს პოტენციური საშიშროება იმისა, რომ მოძალადე კვლავ განახორციელებს ძალადობრივ აქტს მსხვერპლის მიმართ, მსხვერპლს კვლავ შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ორდერის მოქმედების ვადის გაზრდა ორდერის მოქმედების პერიოდში არა უმეტეს სამი თვისა.

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ორდერის მოქმედების პერიოდში, ანუ თუ ორდერი გამოცემულია 2 თვის ვადით, ორი თვის ვასვლამდე შესაძლებელია ვადის გაზრდის მოთხოვნით მიმართოს მსხვერპლმა სასამართლოს, თუ არ-

სეზონს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ, მაგრამ არაუმეტეს დამატებით სამი თვის ვადისა.

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ საშიშროების გამოვლენის ან ძალადობის განმეორებით ჩადენის საფრთხის შემთხვევაში, შესაძლებელია მსხვერპლმა კვლავ მიმართოს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით შეუზღუდავად.

დამცავი ორდერის მოქმედება არ შეწყდება, ანუ პირობები არ გაუქმდება, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით გაგრძელებულია ორდერის მოქმედების ვადა და/ან ორდერის პირობები ენება ოჯახის სხვა წევრის, უპირველესად ბავშვის ინტერესებს.

## **შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა**

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ერთ თვემდე ვადით და მას ამტკიცებს ან დამტკიცებაზე უარს ამბობს სასამართლო. სასამართლო, შემაკავებელი ორდერის დამტკიცების, ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ უფლებამოსილი პოლიციელის განცხადებას, განიხილავს მისი **მიღებიდან 24 საათის** განმავლობაში, რის შემდეგაც გამოსცემს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

**სასამართლოს მიერ შემაკავებელი ორდერის დამტკიცებაზე უარის თქმა არ იწვევს პოლიციის უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას.**

შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე, მიუხედავად იმისა დაამტკიცებს თუ არა მას სასამართლო. სასამართლოს მიერ ორდერის პირობების დამტკიცების შემთხვევაში გაგრძელდება მოძალადის მიმართ შემზღუდველი ღონისძიებების მოქმედების ვადა, უარის თქმის შემთხვევაში, ორდერის პირობების მოქმედება წყდება. ორდერის პირობების სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის. განსხვავებით დამცავი ორდერის პირობებისა შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა არ გრძელდება. პოლიცია ვალდებულია განახორციელოს ზედამხედველობა დამცავი და შემაკავებელი ორდერის პირობების შესრულებაზე და მოახდინოს კანონით გათვალისწინებული რეაგირება დამცავი და შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევაზე.

## **დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედება მხარეთა შერიგების დროს**

დამცავი და შემაკავებელი ორდერი სავალდებულოა შესასრულებლად ორივე მხარისათვის, მაგრამ თუ გარემოება რადიკალურად შეიცვალა და მხარეები ერთობლივ განცხადების საფუძველზე მიმართავენ სასამართლოს ორდერის გაუქმების მოთხოვნით სასამართლო განიხილავს ამ განცხადებას ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის **VII**<sup>12</sup> თავით დადგენილი წესით, შეამოწმებს გარემოებებს, ნების თავისუფლად გამოხატვის საფუძველზე და წყვეტს ორდერის მოქმედების პირობებს. სასამართლოს აქვს უფლებამოსილება არ გააუქმოს დამცავი და/ან შემაკავებელი ორდერი თუ მიიჩნევს რომ მოძალადის მხრიდან არსებობს პოტენციური საფრთხე ძალადობის ხელშეწყობის ჩადენისა, და მხარეებს შეცდომაში შეჰყ-

ავთ სასამართლო, რადგან სახეზე არ გვაქვს ნების თავისუფალი გამოხატვა, ან ორდერის პირობები ეხება არასრულწლოვანის ინტერესებს და არსებობს ძალადობის განმეორების საფრთხე არასრულწლოვანის ან ოჯახის სხვა წევრთა მიმართ.

## 9. დამცავი და შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული საპროცესო საკითხები

ოჯახში ძალადობის ფაქტზე, საქმე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფორმით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსისა და კანონის VII<sup>9</sup> თავით დადგენილი წესით.

იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რაც შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21<sup>10</sup> მუხლი თუმცა 21<sup>11</sup> მუხლის მე-3 ნაწილის „ლ“ და მე-4 ნაწილის „ზ“ პუნქტის მიხედვით არ არის აკრძალული იმ ღონისძიებათა გამოყენება რომელიც არ არის მოცემული ჩამონათვალში მაგრამ აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

მითითებული მუხლი შეიცავს აგრეთვე იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, (მაგალითად: მსხვერპლის თავშესაფარში ან მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსება, რეაბილიტაცია და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობის საკითხები).

ყურადღებია ის გარემოება, რომ სასამართლომ ორდერის დამტკიცებისას შესაძლებელია იმსჯელოს ისეთ საკითხებზე როგორცაა, მსხვერპლისა და მოძალადის ერთობლივ საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენება და აუკრძალოს მოძალადეს ამ ქონებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლება, ასევე იმ ქონების გამოყენება, რომელიც მოძალადის საკუთრებაშია და დაუწესოს შეზღუდვები არ ისარგებლოს საკუთარი ქონებით. აღნიშნული აკრძალვა არ ნიშნავს მოძალადისათვის საკუთრების უფლების ჩამორთმევას, არამედ ეს არის მისი საკუთრებით სარგებლობის შეზღუდვა, როგორც დროებითი ღონისძიება მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შემაკავებელ ან დამცავ ორდერში შესაძლებელია მითითებული იქნას ამ მუხლში მოცემულ ჩამონათვალთან ერთ-ერთი, რამოდენიმე, ყველა ერთობლიობაში ან ის ღონისძიება, რომელსაც ორდერის გამომცემი უფლებამოსილი პირი ან სასამართლო მიიჩნევს მიზანშეწონილად.

დამცავი და შემაკავებელი ორდერი მზადდება არანაკლებ 4 ეგზემპლარად, ამთგან ერთი ჰბარდება მსხვერპლს, ერთი ჰბარდება მოძალადეს, ერთი ჰბარდება სასამართლოს ხოლო რჩება ორდერის გამომცემ ორგანოში..

დამცავი და შემაკავებელი ორდერები ძალაში შედის მისი გამოცემისთანავე.

## 10. ორდერის განსაზღვრების პროცედურები

### დამცავი ორდერის გასაჩივრების პროცედურები

ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია გამოცემულ იქნას დამცავი ორდერი.

განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით შეიტანება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით დადგინილი წესით. უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის საქმის განხილვისათვის პრიორიტეტული და სპეციალურია VII<sup>3</sup> თავი და ამ ტიპის დავებისათვის გამოიყენება ამ თავით დადგინილი წესი.

განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნას აუცილებლად წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს განცხადების წარმდგენის სახელს, გვარს, მონაცემებს მისი საცხოვრებელი ადგილის, მისამართის, ტელეფონის შესახებ. თუ განცხადება წარადგინა არა მსხვერპლმა, არამედ კანონით უფლებამოსილმა პირმა, ამ შემთხვევაში აუცილებელია (სასურველია) განცხადებაში მითითებულ იყოს მსხვერპლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, სახელი, გვარი, მისამართი, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, ასახული უნდა იყოს ოჯახში ძალადობის ფაქტის მოკლე აღწერა, სასურველია აგრეთვე მიეთითოს თუ რამდენად ზშირად მეორედობდა ძალადობის ფაქტი ოჯახში და რამდენად აქვს მას განგრძობადი და განმეორებითი ხასიათი.

განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით უნდა შეიცავდეს ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, ასევე ცნობებს მათი ურთიერთკავშირის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია იმისათვის, რომ დადგინდეს, რამდენად ექვემდებარება კონკრეტული განცხადების განხილვა ოჯახში ძალადობის ფორმატს, განცხადებაში მოყვანილი ფაქტი ეხება თუ არა ოჯახის წევრებს და მათ შორის განვითარებულ კომფლიქტს.

სასამართლო განცხადების კანცლარიაში რეგისტრაციიდან 10 დღის განმავლობაში განიხილავს განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას ორდერის გამოცემის, გაუქმების, ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ორდერის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

21<sup>0</sup>.5 მუხლის შესაბამისად განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო 24 საათის განმავლობაში უგზავნის განცხადებას იმ პირს ვის მიმართაც არის შეტანილი განცხადება და სთხოვს მას დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენას.

სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს დახურულ სხდომაზე.

სასამართლო გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ ერთჯერადად საჩივრდება იმავე

ინსტანციის სასამართლოში 3 დღის ვადაში. კანონით პირდაპირ არაა გაწერილი მიღებული გადაწყვეტილების გადაზღვრის წესი, გადაწყვეტილების გასაჩივრების ზუსტი პროცედურა, თუ რომელი მოსამართლე - გადაწყვეტილების მიმღები, თუ იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლე - არის უფლებამოსილი განიხილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სასამართლოში საქმის წარმოებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგადი პროცედურიდან გამომდინარე, გასაჩივრება უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღეში, იმავე სასამართლოში საჩივრის წარდგენის გზით. საჩივარი განხილული უნდა იქნას სხვა მოსამართლის მიერ, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში ერთი ადმინისტრაციული საქმეთა განმხილველი მოსამართლეა საჩივარს განიხილავს იგივე მოსამართლე.

მოსამართლე დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას. გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ გამოცემისთანავე შედის ძალაში, რაც საკითხის სპეციფიურობითაა განპირობებული და მიმართულია ძალადობის სწრაფი აღმოფხვრისა და მსხვერპლის რეალური, სწრაფი დაცვისაკენ, რადგან გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და განცხადების განხილვის დროს მან კიდევ ერთხელ არ განიცადოს ძალადობრივი მოპყრობა და სასამართლო გადაწყვეტილებით დაცული იყოს მოძალადისაგან.

მხარეები თანაბრად მონაწილეობენ ოჯახში ძალადობის ფაქტზე სასამართლოში წარდგენილი განცხადების განხილვაში მათ აქვთ თანაბარი შესაძლებლობები მიიღონ მონაწილეობა დავის განხილვაში, წარმოადგინონ მტკიცებულებები და დაასაბუთონ განცხადებაში მითითებული გარემოებები. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს მათი მოწვევა და სათანადო ინფორმირება მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით, მაგრამ პროცესში მონაწილე მხარეებს აქვთ სუვერენული უფლება მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა განცხადების განხილვაში. მხარის გამოუცხადებლობა არ აფერხებს განცხადების განხილვას სასამართლოში.

სასამართლო გადაწყვეტილება მხარეებს ეგზანგებოთ გადაწყვეტილების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. გადაწყვეტილება რეაგირებისა და ზედამხედველობისათვის ასევე ეგზანგებოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანს შესაბამის საუბნო სამსახურს.

## **შემაჯავებელი ორდერის გასაჩივრების პროცედურები**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 11 სექტემბრის №1079 ბრძანებით და 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანებით დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული შემაჯავებელი ორდერი მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგ-

ინება სასამართლოს, რომელიც მისი წარდგინიდან 24 საათის განმავლობაში იხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ორდერის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

კანონი ცალკე არ მიუთითებს შემაკავებელი ორდერის განხილვის პროცედურების თაობაზე, მაგრამ დადგენილი პრაქტიკის თანახმად შემაკავებელი ორდერის განხილვა წარმოებს ზეპირი მოსმენით, დამცავი ორდერის განხილვისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეების ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდგომ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის დამტკიცების და მისი მოქმედების გაგრძელების შესახებ ან გარემოებების გამოკვლევის შემდგომ, დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

### **მხარეთა გამოუცხადებლობა პროცესზე არ აბრკოლებს შემაკავებელი ორდერის საკითხის განხილვას სასამართლოში.**

იმის გათვალისწინებით, რომ შემაკავებელი ორდერი ეს არის დროებითი შემზღუდავი ხასიათის ღონისძიება, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მიმართულია ძალადობის ფაქტის ოპერატიული აღკვეთისა და მსხვერპლის დაცვის, მოძალადისა და მსხვერპლის დაშორების და ძალადობის შემდგომი გამოვლინების აღკვეთისაკენ. მისი მიღება ხდება ოპერატიულად და სამართალწარმოებაც მიმდინარეობს შემჭიდროებულ ვადებში.

### **კანონმა მიანიჭა უფლებამოსილება პოლიციის თანამშრომელს თავად განსაზღვროს იმ ღონისძიებათა ნუსხა, რაც მიანიჭა მიზანშეწონილად ძალადობის აღკვეთის და მსხვერპლის დაცვისათვის.**

პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია მოძალადეს განუსაზღვროს ვადა ამ შემზღუდავ ღონისძიებათა მოქმედებისა და აუცილებელია უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ შემაკავებელ ორდერში მიეთითოს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. კონკრეტული შემძრუდელი ღონისძიების მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ვადა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, საქმეზე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული მუხლი მოიცავს სასამართლოს უფლებამოსილებას შემაკავებელი ორდერის დამტკიცებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამავე მუხლში მითითებულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და არა შემაკავებელი ორდერის დამტკიცებისას, იმის გათვალისწინებით, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემის ვალდებულება ენიჭება შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, ლოგიკურია, რომ მასვე ენიჭება ვალდებულება დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

შემაკავებელი ორდერის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება ამავე კოდექსის 21<sup>13</sup> მუხლით დადგენილი წესით.

## 11. ძალადობის თანმხლები სამართალდართლვეების განსაზღვრა და გამიჯვნა

ოჯახში ძალადობა არაერთგჯერადი ხასიათის, ძალადობრივი ქმედებაა, გამოხატული ოჯახში, ძალადობის ნებისმიერი ფორმით

ოჯახში ძალადობის ფორმებია: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, იძულება.

ოჯახში ძალადობისას სახეზეა 3 კომპონენტი 1. - ძალადობა, 2. - მოძალადე, 3. - მსხვერპლი. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია ამ 3 კომპონენტის იდენტიფიცირება მოახდინოს.

**პირის მირერ სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ან შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246 — ე მუხლით ოჯახში ძალადობა, განიხილება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის დროსაც პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დროს შესაძლებელია ადმინისტრაციული დაკავება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175<sup>2</sup> მუხლის I ნაწილით, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175<sup>2</sup> მუხლის II ნაწილით დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს 3 თვემდე ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381<sup>1</sup> მუხლით დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, ასეტი ქმედებისათვის ადმინისტრაცი-

ულსახდელშეფარებული პირის მიერ ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ოთხმოც საათამდე. ოჯახში ძალადობას, გარდა კანონით განსაზღვრული ფორმებისა ხშირად თან სდევს სხვა სახის სამართალდარღვევები, რომლებიც განეკუთვნება სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების სფეროს.

თანმდევ სამართალდარღვევათა გავრცელებული ფორმებია:

- სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება;
- საკუთრების ხელყოფა,
- ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილება
- ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა და ა. შ.

საქართველოს კონსტიტუციით პირს უფლება აქვს თავისი კანონიერი ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, თავად აირჩიოს დაცვის ღონისძიება და მართლსაჯულების განხორციელების ფორმა.

მოცემულ შემთხვევაში ძნელია გაიმიჯნოს თანმხლები დარღვევები, რომელსაც აქვს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და გამოხატულია ოჯახში ძალადობის ნიშნით.

თუ ოჯახში ძალადობა გამოხატულია თანმდევი სამართალდარღვევების თანხლებით პოლიცია ვალდებულია განუმარტოს მხარეს უფლებები და შეთავაზოს მას - კანონისმიერი დაცვის ღონისძიების თავად არჩევა. არჩევანის უფლებას განაპირობებს ოჯახში ძალადობის სპეციფიურობა, პრაქტიკაში ხშირად დგება საკითხი, როდესაც პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტზე, როდესაც სახეზეა ძალადობა გამოხატული სხეულებრივი დაზიანების ნიშნებით, მაგალითად ცემა, იწყებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, აღნიშნული პრაქტიკა განამტკიცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებამ, რომლის მიხედვით კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მ. 27 ძვ.რ) საერთოდ გაუქმდა. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 — ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.

მოცემულ შემთხვევაში სხეულზე ძალადობის კვალის არსებობა უპირობო საფუძველია ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა, რაც საერთო ჯამში დამოკიდებულია ექსპერტიზის მიერ დადგენილ დაზიანების ხარისხსა და პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე.

თუ სწორად შევაფასებთ ზემოაღნიშნულ საკითხს მივიღებთ იმ დასკვნას, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის გამოწერა პოლიციას შეუძლია მხოლოდ ფსიქოლოგიური, ეკონომიური ძალადობისა და გარკვეულწილად იძულების შემთხვევაში და არა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რომ ძალადობა მომხდარია ოჯახში და მოიცავს ოჯახში ძალადობის ყველა ნიშანს.

დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში პოლიცია ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლის დაცვისა და ძალადობის განმეორებით თავიდან აცილებისათვის აღარ იყენებს ადმინისტრაციულ მექანიზმს – შემაკავებელ ორდერს.

ფაქტია თუ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით არ იქნა გამოყენებული დაპატიმრება გამოძიების მთელი ეტაპის განმავლობაში აღარ გამოიყენება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის ადმინისტრაციულ – სამართლებრივი მექანიზმი შემაკავებელი ორდერი და მსხვერპლი არ არის დაცული განმეორებითი ძალადობიდან.

თუ საქმეზე პირის (მოდალდის) მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, რაც ხდება იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა სხეულის დაზიანების ხარისხს მიიჩნევს უმნიშვნელოდ, რასაც ვჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის დაკარგვა არ მოჰყოლია, პირს (მოდალდეს) არ დაეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა.

რადგან, მოცემულ შემთხვევაში, პოლიციის მიერ ფაქტზე შემაკავებელი ორდერი არ იწერება მას (მოდალდეს) ასევე არ დაუწესდება ადმინისტრაციული ღონისძიებით – შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული შეზღუდვები.

ასეთი დინამიკით სამართალწარმოების განვითარებისას სრულიად უძლეური და უშინაარსო გახდება მოცემული კანონი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ამიტომ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არ ზღუდავს პოლიციას გამოიყენოს მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის ადმინისტრაციული დაცვის მექანიზმი – შემაკავებელი ორდერი. ორდერი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ სახდელს და არც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელს. მოცემულ შემთხვევაში თანმხლები სამართალდარღვევების შემთხვევაში პოლიციას უფლება აქვს გამოწეროს შემაკავებელი ორდერი და განსაზღვროს დაცვის კონკრეტული ღონისძიება.

## 12. ოჯახში ძალადობის პრევენცია

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს არა მოძალადის დასჯა, არამედ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების გზით ძალადობის თავიდან აცილება.

ოჯახში ძალადობის პრევენცია გულისხმობს იმ ფაქტორების ანალიზს შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია. ამასთან, ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით წინასწარი ზომების მიღებას, კერძოდ, სტატისტიკის წარმოება, საინფორმაციო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, რათა მოქალაქეები ფლობდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რა ქმედება და ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ოჯახურ ძალადობას, რა მექანიზმებით და საშუალებებით შესაძლებელია დაცული იქნას დარღვეული უფლება.

ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკა, ფაქტორების ანალიზი, შესწავლა და შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა დაინტერესებული პირების მეშვეობით და ხდებოდეს გაშუქება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მასობრივი ინფორმაციების საშუალებით, რადგან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ნათელია, რომ მოსახლეობა არ არის სამართლებრივად ინფორმირებული, რაც იწვევს მათი ქმედების და ოჯახის წევრთა მიმართ უფლების შელახვას.

მაგალითად, მშობელს მიაჩნია, რომ შვილის აღზრდისათვის აუცილებელია მისი ცემა, დასჯა, მაგრამ ვერ წარმოუდგენია რომ მისი ამგვარი ქმედება წარმოადგენს მისი მხრიდან ოჯახურ ძალადობას.

კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ოჯახური ღირებულებები და უზრუნველყოს თანასწორობის დაცვა-განმტკიცება, აქედან გამომდინარე, ოჯახური ძალადობა თავისთავად მიმართულია სახელმწიფოს პრიორიტეტული ინტერესის წინააღმდეგ.

ხშირ შემთხვევაში ეს ხდება გაუთვითცნობიერებლად თვით იმ პირის მიერ, ვინც ახორციელებს ძალადობას და ასევე ის პირი, ვის მიმართაც ხორციელდება ძალადობა, აღიქვამს ამას როგორც ჩვეულებრივ ყოფით მოვლენას, თუმცა შეიძლება ჰქონდეს შინაგანი პროტესტი, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, რომ ძალადობა წარმოადგენს კანონით აკრძალულ ქმედებას და მას გააჩნია უფლება იყოს ყოველმხრივ დაცული შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით.

უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებებით მისცეს ინფორმაცია საზოგადოებას იმის შესახებ, რომ ოჯახი არ წარმოადგენს დახურულ ორგანიზაციას და მის შიგნით ძალადობა განიხილება როგორც სახელმწიფოს მხრიდან დასჯადი ქმედება. არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ოჯახის შიგნით განხორციელებული

ძალადობა დარჩება სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური რეაგირებისა და „დასჯის“ გარეშე. სახელმწიფოს მოვალეობა გააერთიანოს ყველა შიდა მექანიზმი და რესურსი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის მაქსიმალური დაცვა, მისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.

ძალადობის პრევენცია ასევე გულისხმობს მოძალადის მიმართ გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას, რათა მან შეიგნოს თავისი ქმედების დანაშაულებრიობა და სამომავლოდ მისი მხრიდან გამორიცხული იყოს ძალადობის ხელახალი განმეორება. კანონის მიზნებიდან გამომდინარე მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ადაპტაციისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო კურსების ორგანიზება და დინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნა-მხარდაჭერა.

კანონის მიზნებიდან გამომდინარე ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და სასამართლო ორგანოები, სსიპ – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად, ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე დინტერესებული ინსტიტუტების - არასამთავრობო სექტორის ჩართვა და მონაწილეობა ძალადობის პრევენციის ღონისძიებების პროექტების დაგეგმვა – განხორციელებაში,

„ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნის, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებათა ჩამონათვალს.

სახელმწიფო, წარმოდგენილი შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინ-

ისტროს სახით, იღებს ვალდებულებას შეიმუშავოს და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებანი უშუალოდ სოციალური მომსახურების გზით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ნორმა კონკრეტულად განსაზღვრავს იმ სოციალურ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა მოცემული მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია როგორც ოჯახური დავების მიზეზების შესწავლის, ანალიზისა, დავების დაძლევის, ასევე მსხვერპლისა და მოძალადისათვის ეფექტური სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების ხელშეწყობა-განხორციელების კუთხით.

### 13. პოლიციის ზედამხედველობა შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში, პოლიციის სტრატეგია და მეთოდები ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია უფლებამოსილი ორგანოების მიერ შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემა. შემაკავებელი ორდერის ერთი ეგზემპლარი განსახილველად წარედგინება სასამართლოს, რომელიც დაამტკიცებს ან გააუქმებს მას. გარდა ამისა სასამართლო უფლებამოსილია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოსცეს დამცავი ორდერი. ორივე აქტი გამოცემისთანავე შედის ძალაში და გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს, არასრულწლოვნებზე ძალადობის შემთხვევაში აგრეთვე მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოს. სასამართლოს მიერ დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის და დამცავი ორდერის თითო ეგზემპლარი, ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს ძალადობის მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევებზე რეაგირების მიზნით.

ორდერებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად, უბნის ინსპექტორი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უკავშირდება დაზარალებულს. მსხვერპლს განუმარტავს პოლიციის უფლებამოსილებას, ორდერებით გათვალისწინებულ პირობების დაცვაზე ზედამხედველობასთან დაკავშირებით. გამოარკვევს მიღებული აქტს თუ არა სასამართლოდან ზემოაღნიშნული აქტები. მასთან ერთად განიხილავს ოქმით განსაზღვრულ მსხვერპლის დაცვის ღონისძიებებსა და მოძალადის წინაშე წაყენებულ ვალდებულებებს. პოლიციელი შეიმუშავებს ორდერის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობის ინდივიდუალურ მეთოდს.

პოლიციელს უნდა ახსოვდეს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ფუნდამენტური უფლებაა, სწორედ ამიტომ ყოველი მისი მოქმედება შეძლებისდაგვარად შეთანხმებული უნდა იყოს ძალადობის მსხვერპლთან. ნებისმიერ შემთხვევაში, უფლებამოსილი პირმა უნდა შეატყობინოს მსხვერპლს პოლიციასთან დაკავშირების ყველა შესაძლო ხერხის თაობაზე, ტელეფონის ნომერი, სამუშაოს ზუსტი დასახელება და მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. განუმარტოს მას, რომ მისი უფლებების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაში დაუკავშირდეს პოლიციას. ჩაინიშნოს ძალადობის მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი სრული ინფორმაცია, საკონტაქტო მონაცემები. მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით ჩაინიშნოს ინფორმაცია მისი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ. სად მუშაობს, მუშაობის ხანგრძლივობა, სამსახურში გადაადგილების და უკან დაბრუნების მარშრუტი, სხვა მოქმედებები, რომელსაც გარკვეული პერიოდულად ასრულებს ძალადობის მსხვერპლი, რაც შეიძლება იყოს მასზე დამოკიდებული პირის სასიეროდ, სამკურნალო ან სასწავლო დაწესებულებაში ტარება.

ხშირ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებების ადგილმდებარეობა შეიძლება არ ემთხვეოდეს უზნის ინსპექტორის სამოქმედო ტერიტორიას, ასეთ დროს მიიღებს გადაწყვეტილებას დაუკავშირდეს იმ ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურს, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მსხვერპლის სამუშაო ადგილი, ან მასზე დამოკიდებული პირის სასწავლო თუ სამკურნალო დაწესებულებები. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს მათი დახმარებით.

თუ ოჯახში არიან არამოძალადე წევრები, რომელთაც მოვლენათა სრულფასოვნად აღქმა შეუძლიათ კონტაქტი დაამყაროს ამ ადამიანებთანაც და სთხოვოს მათ, საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პოლიციას. გადასცეს მათ საკონტაქტო ინფორმაცია.

ძალადობის მსხვერპლთან შეთანხმებით დააწესოს მასთან შეხვედრების პერიოდულობა. ვიზუალური კონტაქტი აუცილებელია, რათა პოლიციელმა სრულყოფილად შესძლოს სიტუაციის შეფასება. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლის გარეგნული იარსება და საქციელი მონათხრობის საპირისპიროზე მიუთითებს.

უზნის ინსპექტორს ყოველთვის აქვს წარმოდგენა მის სამოქმედო ტერიტორიაზე. აუცილებლად იცნობს იქ მცხოვრებ პირებს. თუ ამ პირთა წრეში მას ეგულება ადამიანები, რომელთაც აქვთ სამოქალაქო ვალდებულების მაღალი შეგნება, ამასთან შესწევთ უნარი რეალურად შეაფასონ ვითარება და საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდნენ პოლიციას, მივიდეს მათთან, საჭირო დოზით გააცნოს არსებული პრობლემა და სთხოვოს მათ დახმარება საეჭვო ვითარების გამოვლენის შემთხვევაში.

თუ მსხვერპლი მოთავსებულია კრიზისულ ცენტრში ან თავშესაფარში ინტენსიურად ითანამშრომლოს თავშესაფრის ადმინისტრაციასთან.

შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე

ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შესწავლილი იქნას აგრეთვე მოძალადე-დაადგინოს მისი საცხოვრებელი თუ სამუშაო ადგილი. დაუკავშირდეს მას და განიხილოს ორდერით გათვალისწინებული (ცალკეულ მოქმედებათა შეზღუდვის ღონისძიებები. განუმარტოს მოძალადეს მისი უფლებები, რომ კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია 3 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება. შეუძლია სასამართლოს მიმართოს იმ შემთხვევაშიც თუ მას ეზღუდება ბავშვის მონახულების უფლება 3 თვეზე მეტი ვადით. აქვე განუმარტოს, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და გააცნოს პასუხისმგებლობის ზომები. თუ მოძალადეს აქვს გარკვეული სოციალური პრობლემები, მაგალითად ვერ შოულობს სამუშაოს, ან აქვს მიდრეკილება სპირტიანი სასმელების მოხმარებაზე, ან აქვს მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი, შესთავაზოს მას დახმარება თავისი კომპეტენციის ფარგლებში. დააკავშიროს ის დასაქმებისა, თუ სოციალური დახმარების სხვა ცენტრებთან.

## 14. ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვანის დაცვის სპეციფიკური ღონისძიებები

კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ“ განსაკუთრებულად არეგულირებს იმ საკითხებს, რომლებიც ეხება არასრულწლოვანების დაცვას, მათ უსაფრთხოებასა და მოტაცების თავიდან აცილებას.

### 1. ოჯახური ძალადობის გავლენა არასრულწლოვანზე

ოჯახებში, სადაც ძალადობა ცხოვრების ჩვეული ფორმაა, ადამიანები ფსიქოლოგიურად ტრავმირებულნი არიან, ბავშვების ჯანმრთელობა ზიანდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მოწმენი არიან მსგავსი ქმედების. ოჯახში ძალადობის შედეგად სახეზეა განვითარების შეფერხება ბავშვის არსებობის სამივე დონეზე: 1) აფექტურ (ემოციურ) დონეზე - ემოციური გახვევა (უემოციობა, ემოციის დაჩლუნგება), მაღალი შფოთვა, ნევროტული შიშები და სხვა.; 2) კოგნიტურ დონეზე (აზროვნება)- ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, ყურადღებისა და მენსიერების პრობლემები; 3) ქცევის დონეზე დელიკვენტური ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებსა და კანონებს), დევიაციური (ნორმიდან გადახრილი) და კრიმინალური ქცევა.

### 2. ინტერვიუს ჩატარების სპეციფიკა

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ბავშვებისა და მოზარდების ინტერვიუებისას:

- ინტერვიუს ჩატარების ადგილი უნდა იქნეს შერჩეული ისე, რომ ბავშვმა თავი დაცულად იგრძნოს.

- თავდაპირველად, ბავშვს ან მოზარდს, მისთვის გასაგებ ენაზე, უნდა განუმარტოთ ინტერვიუს მიზანი, თავისი ამოცანები და როლი.
- უნდა შეგვეძლოს დალილობისა და ყურადღების დაქვეითების ნიშნების ამოცნობა: მაგალითად, ბავშვი სკამზე წრიალებს, შეკითხვებს არ ისმენს, ყურადღება სხვა საგანზე გადააქვს და ა.შ. ამ შემთხვევაში მას დასვენების საშუალება უნდა მიეცეთ.
- ბავშვის სასაუბრო ლექსიკონში შემაჯავალი სიტყვების გამოყენება, წინადადებათა მარტივი სტრუქტურა და მარტივი შეკითხვები აუცილებელია იმისთვის, რომ ბავშვი მიხვდეს, რას ვეკითხებით.

### 3. ბავშვები, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები.

ნებისმიერ ბავშვთან ამ მოზარდთან საუბრის დაწყებამდე უნდა დავინტერესდეთ, ხომ არ აქვს ბავშვს ან მოზარდს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. იმ ბავშვებთან საუბრისას, რომლებიც მედიკამენტებს იღებენ, აუცილებლად უნდა გავარკვიოთ რა სახის წამლებს იღებს და როგორ ზემოქმედებს ბავშვის ფსიქომოციურ მდგომარეობაზე, დააზუსტეთ წამლის მიღების დრო და მოქმედების ხანგრძლივობა.

თუ კი ბავშვი სარგებლობს სპეციალური ინსტრუმენტებით, როგორცაა ეტლი, სასმენი აპარატი, უნდა გავითვალისწინოთ ამ ვითარებით გამოწვეული უხერხულობები საუბრისას და გამოვრიცხოთ მათი ნეგატიური გავლენა ინტერვიუს მსვლელობაზე.

თუ ბავშვს აქვს შეფერხებები განვითარებაში, კითხვები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ბავშვის გონებრივ განვითარებას და არა მის ასაკს.

### 4. პოლიციისა და სოციალურ სამსახურის კოორდინირებული მუშაობა

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის თანახმად პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ასევე ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ კანონით გათვალისწინებულმა პირმა.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი ძალადობის იდენტიფიცირება სიძნელეს წარმოადგენს განსაკუთრებით მაშინ, როცა მოძალადე შეიძლება იყოს მშობელი/მშობლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციამ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს შემთხვევის ადგილზე გამოცხადება განხორციელდეს ერთობლივად, რათა გაადვილდეს ძალადობის იდენტიფიცირება.

აღნიშნული საჭიროება გამომდინარეობს იქედან, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ძალადობა უხილავია (მაგ. ფსიქოლოგიური ძალადობა), რა დროსაც საჭიროა დადგინდეს ძალადობის კვალი. სოციალური მუშაკის დახმარებით კი შესაძლებელია გამარტივდეს ძალადობის კვლის დადგენა, რაც შეიძლება გახდეს ერთ-ერთი საფუძველი იმისა რომ გამოიცეს უფლებამოსილი პოლიციელის მიერ შემაკავებელი ორდერი. აღნიშნულ შემ-

თხვევაში სოციალური მუშაკის დასკვნა არასრულწლოვანის მდგომარეობის შესახებ არის სარეკომენდაციო ხასიათის და პოლიციელი უფლებამოსილია დასკვნის საფუძველზე გამოსცეს შემაკავებელი ორდერი.

### **5. მოწმის როლი შემაკავებელი ორდერის გამოცემის დროს**

უფლებამოსილი პოლიციელი, ძალადობის ფაქტის შესწავლის დროს უნდა მოქმედებდეს ბავშვის ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, რაც იმას გულისხმობს, რომ მოწმის არარსებობა არ უნდა მიიჩნიოს შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემაფერხებლად, მაშინ, როცა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის დასკვნა მიუთითებს რომ არსებობს დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ არასრულწლოვანი შეიძლება ძალადობის მსხვერპლი იყოს.

პოლიცია ვალდებულია გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული დასკვნა და საქმის გარემოებათა სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე გამოსცეს შემაკავებელი ორდერი.

### **6. დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები**

ხშირია შემთხვევები, როცა უფლებამოსილი პოლიციელს მიაჩნია, რომ არ არის საკმარისი საფუძველი, რათა გამოიცეს შემაკავებელი ორდერი. ასეთ შემთხვევაში პოლიციელმა უნდა განუმარტოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს, რომ მას „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დამცავი ორდერის გამოცემა.

იმ შემთხვევაში, თუ საგარაუდო მოძალადე ერთ–ერთი მშობელია და საქმის გარემოებებიდან ვერ დგინდება ძალადობის კვალი, რათა გამოიცეს შემაკავებელი ორდერი, პოლიცია ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მეორე მშობელს და ოჯახის სხვა წევრებს, რომ მათ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს არასრულწლოვანის უფლებების დასაცავად, და მოითხოვონ დამცავი ორდერის გამოცემა და მიაწოდოს ოჯახის წევრებს ან მეორე მშობელს დეტალური ინფორმაცია თუ როგორ მიმართოს სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, თუ საგარაუდო მსხვერპლი 14 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანია და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერის გამოცემა, პოლიციელი ვალდებულია განუმარტოს არასრულწლოვანს, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. და მიაწოდოს არასრულწლოვანს დეტალური ინფორმაცია თუ როგორ მიმართოს სასამართლოს.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ოჯახის წევრებისა და არასრულწლოვანისთვის უნდა განხორციელდეს კონფიდენციალობის დაცვით.

აღნიშნული საკითხები წერილობით უნდა დაფიქსირდეს პოლიციის მიერ შედგენილ ოქმში თუ სხვა დოკუმენტში, რომელიც აღწერს ადგილზე სიტუაციას.

### **7. არასრულწლოვნის განცალკევება მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან**

იმ შემთხვევაში როცა სავარაუდო მოძალადე მშობელი/მშობლებია და ზემოაღნიშნული სუბიექტები მიმართვენ სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, სასამართლო განიხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე მშობლის/მშობლების ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. სასამართლო ამ შემთხვევაში განიხილავს აგრეთვე არასრულწლოვნის წარმომადგენლობის უფლების საკითხსაც რა დროსაც მწიფეწლოვანია იმ გარემოების განხილვა თუ რა ზიანი შეიძლება გამოიწვიოს მშობლისათვის წარმომადგენლობის უფლების დატოვებამ. დაუშვებელია მშობლებისათვის არასრულწლოვანზე ერთობლივი მეურვეობის დატოვება, თუ არსებობს მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი.

ხოლო თუ სასამართლოს მიმართავს დამცავი ორდერის გამოცემის მიზნით არასრულწლოვანი, რომელსაც შეურუღდა 14 წელი, სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

### **8. არასრულწლოვნის მოტაცების თავიდან აცილებისა და სხვა სახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი არეგულირებს იმ საკითხებს, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოტაცების თავიდან აცილებას. სასამართლოს მიერ დამცავი ორდერის გამოცემისას, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია მისი კავშირი მშობელთან, უწყებს მშობელს/მშობლებს გარკვეულ დროს ბავშვთან ურთიერთობისათვის და განსაზღვრავს არასრულწლოვნის მონახულების ადგილს, დროს პერიოდულობას და ხანგრძლივობას. მშობლისა და ბავშვის შეხვედრას უნდა ესწრებოდეს პასუხისმგებელი პირი, რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო და ნებისმიერ შემთხვევაში შერჩეული უნდა იყოს ისეთი ადგილი სადაც არასრულწლოვნის უსაფრთხოება და/ან რისკი იმისა, რომ ბავშვი შეიძლება მოტაცებულ იქნეს მინიმუმამდე დაიყვანება.

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული პირობების განსაზღვრისა საკმარისად არ არის რეგულირებული მოძალადე მშობლისა და არასრულწლოვნის ურთიერთობის საკითხი და ვერ ხერხდება ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამ შემთხვევაში სასამართლო სრულად შეუზღუდავს მოძალადე მშობელს ბავშვის მონახულების უფლებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოძალადის მიერ არასრულწლოვნის მოტაცების ან

მისთვის სხვა სახის ზიანის მიყენების რეალური საფრთხე არსებობს, სასამართლო გადაწყვეტილებით მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს ბავშვის მონახულების უფლება გარემოების შეცვლამდე.

თუ მოძალადე მშობელს ბავშვის მონახულების უფლება 3 თვეზე მეტი ხნით ექნება შეზღუდული მას უფლება წარმოემეება მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ბავშვის მონახულების პირობების შეცვლა.

## 16. თავშესაფარი

ოჯახში ძალადობისას მსხვერპლის მიერ თავშესაფარში გადაყვანის მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის იქ გადაყვანას.

თავშესაფარი გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელს ან დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება.

თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება თავშესაფრის წესდებით გათვალისწინებული ვადით (კანონით განისაზღვრება 3 თვე). ჩ გადაუდებელ შემთხვევებში შესაძლებელია ვადის გაგრძელება.

თავშესაფრის ადგილ-სამყოფელი გასაიდუმლოებულია ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

თავშესაფარში ცხოვრების პერიოდში მსხვერპლს ეხმარებიან თვით შეფასების ამალგებაში, საკუთარი პრობლემების გაცნობიერებაში. მათთან მუდმივ კავშირშია სოციალური მუშაკი, რომელიც ეხმარება მსხვერპლს პრობლემების მოგვარებაში, მუშაობს ფსიქოლოგი, სამართლებრივი პრობლემების არსებობის შემთხვევაში მათთან მუშაობს იურისტი და თუ თავშესაფარს არ ჰყავს ყველა ზემოდ ხსენებული სპეციალისტი, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ამ საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების რესურსი.

ხშირ შემთხვევაში, თავშესაფარში ქალები განთავსდებიან ბავშვებთან ერთად, რომლებთანაც ასევე მუშაობენ სხვადასხვა სპეციალისტები, სოციალური მუშაკის დახმარებით ხდება ბავშვებისათვის სკოლისა და საბავშვო ბაღის შეცვლა თავშესაფრის მდებარეობის მიხედვით.

თუკი მსხვერპლი ითხოვს თავშესაფარში გადაყვანას, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც აქვს იმ დაწესებულებების ტელეფონები, სადაც შეუძლია გადაიყვანოს მსხვერპლი, რეკავს და იგებს ამ დაწესებულებებში (თავშესაფარებში) თავისუფალი ადგილების არსებობის შესახებ და შეთანხმების შემდეგ გადაჰყავს მსხვერპლი.

## 17. პოლიციის და სხვა ორგანიზაციების ერთობლივი მოქმედების ეფექტურობა

პოლიციელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც მსხვერპლისათვის კონკრეტული დახმარების გაწევა შეუძლიათ. მათ უნდა შეეძლოთ მსხვერპლს, საჭიროების მიხედვით, დახმარება შესთავაზონ და მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია.

### **309 903 - ოცდამთხსნათიანი ცხელი ხაზი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად**

(ცხელი ხაზი შეიქმნა და მოქმედებს “ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში” ქალთა ფონდისა (UNI-FEM) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით).

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდეგში - ფონდი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს

- ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას და მათი კანონიერი ინტერესების დაცვას; (6.01.2009 N 4)
- ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და/ან სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფას; ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობას. (6.01.2009 N 4)

საკონტაქტო ინფორმაცია:

წერეთლის გამზირი N 144 (სამთო ქიმიის ძველი შენობის გვერდით)

ტელ.: 140 110

ვებ-გვერდი: [www.atipfund.gov.ge](http://www.atipfund.gov.ge)

დირექტორი: მარინე მესხი

ოჯახში ძალადობის მიმართულების კოორდინატორი: ირმა ალადაშვილი

სოციალური მომსახურების სააგენტო; ზავშეზე ზრუნვის სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია:

ივ. ჯაფახიშვილის ქ. 51

ტელ: 95 08 45; 96 27 21

ვებ-გვერდი: [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი (ძდექ-ი)

მუშაობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივ დაცვისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით. თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში (მარნეუ-

ლი, ქუთაისი, ზუგდიდი, მცხეთა, გორი, ახალციხე, ბათუმი, ამბროლაური, ოზურგეთი, გურჯაანი) აქვს კრიზისული ცენტრები, თბილისში და ახალციხეში – ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თბილისი, ზ. ჭავჭავაძის 9 (ყოფილი შეროზიას ქ.)

ტელ/ფაქსი: 95 06 79

ცხელი საზი: 72 67 17; (890) 26 16 27

ელ-ფოსტა: [shavlakadze@yahoo.com](mailto:shavlakadze@yahoo.com); [antiviolence@avng.ge](mailto:antiviolence@avng.ge)

ვებ-გვერდი: [www.avng.ge](http://www.avng.ge)

**თავმჯდომარე: ნატო შავლაყაძე**

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს თბილისსა და საქართველოს 7 რეგიონში (ქუთაისი, გორი, თელავი, აჭარა, რუსთავი, ოზურგეთი, დუშეთი); ასევე მუშაობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასა და შემდგომ დახვეწაზე.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თბილისი, კრილოვის ქ. 15,

ტელ: 93 61 01; 95 23 53

ცხელი საზი: 99 50 76

ვებ-გვერდი: [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

**თავმჯდომარე: თამარ ხიდაშელი**

**ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი: ნინო ჩხილაძე**

კონსტიტუციური უფლებათა დაცვის ცენტრი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფასო სამართლებრივი დაცვა. თბილისი, გორი, თელავი. საქართველოს კანონის ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ - იმპლემენტაცია და შემდგომი დახვეწა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ.თბილისი მ.ლალიძის №3 ტელ. 922561/66

ქ.გორი ლერმონტოვის ქ.№9 ტელ. 8 (270) 7 9280

ქ.თელავი ბიბერაძის ქ.№6 ტელ. 8 (250) 7 3102

ვებ-გვერდი: [www.cpcr.ge](http://www.cpcr.ge)

**თავმჯდომარე: კობა ბოჭორიშვილი**

### **ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“**

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური დახმარება, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ იძულებით გადაადგილებულ პირთა თავშესაფარი.

საკონტაქტო ინფორმაცია:  
ქ.თბილისი ლამბაშიძის ქ. 3  
ტელ: 98 90 80  
ცხელი ხაზი: 895 23 21 02

### **თავმჯდომარე: რუსუდან ფსაკაძე**

### **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი “საფარი”**

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია დღის მომსახურების ცენტრში და თავშესაფარში.

საკონტაქტო ინფორმაცია:  
თბილისი, ვ. ანჯაფარძის 9  
ტელეფონი: 22-06-89; 29-39-12  
ელ-ფოსტა: zazashvilinatalia@gmail.com

### **საკონტაქტო პირი: ნატალია ზაზაშვილი**

### **საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი; ბავშვთა დახმარების ცენტრი**

ფონდის მთავარი მიზანია: საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების შემცირება და ძალადობის მსხვერპლ, ასევე რისკის ჯგუფის ბავშვთა დახმარება. თბილისის ბავშვთა დახმარების ცენტრის ძირითადი საქმიანობა: ძალადობის და უგუყელე-ბელყოფის მსხვერპლ ბავშვთა დახმარება—ძალადობის შემთხვევათა იდენტიფიკაცია, შესწავლა, რეაგირება და მსხვერპლთა რეაბილიტაცია; ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაცია; ბავშვებთა და მათთან მომუშავე სპეციალისტთა განათლება ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგუყელბელყოფის საკითხებში; ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი „პელუკინე“ 8065 10:00 - 18:00სთ.

საკონტაქტო ინფორმაცია:  
საქართველო, თბილისი 0177  
ყაზბეგის გამზ. 34;  
ნაკვეთი 19, ბინა 1  
ტელ: (995 32) 421 422  
ფაქსი: (995 32) 421 423  
ელ. ფოსტა: k\_margalitadze@phmdf.ge  
[www.phmdf.ge](http://www.phmdf.ge)

**აღმასრულებელი დირექტორი: ლია სარალიძე**  
**ოფისისტი: ქეთევან მარგალიტაძე**

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი**

საკონტაქტო ინფორმაცია:

მაჩაბლის ქ. 11; თბილისი 0105, საქართველო

ტელ: (995 32) 922477 (147)

ფაქსი: (995 32) 922470

ელ.ფოსტა: [aarganashvili@ombudsman.ge](mailto:aarganashvili@ombudsman.ge)

[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)

**ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრის უფროსი: ანა არგანაშვილი**

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის საქმეში აუცილებელია იმ ორგანიზაციებისა და უწყებების ჩართვა, რომლებსაც უშუალოდ უწევთ პრობლემასთან შეხება. ესენი არიან: ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლები, მასწავლებლები, რესურს ცენტრების თანამშრომლები, სოციალური სამსახურების მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრაქტიკა აჩვენებს: როდესაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეში ჩართული არიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ: მოტივაცია, პროფესიული მომზადება, კოორდინაცია – ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის საქმეში გაცილებით ადვილია წარმატების მიღწევა.

## დანართი N1

### შემაკავებელი ორდერი N#00000

1. ორდერის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი 13 მაისი 2010 წელი, 15 საათი და 40 წუთი, ქ. თბილისი, გოგოლის ქუჩა, ბინა №99
2. ორდერის შედგენის საფუძველი მოძალადემ ფიზიკური შეურაცხოვა მიაყენა, მსხვერპლს, დაზარალებულს მარჯვენა თვალის არეში აღენიშნება მსუბუქი სისხლჩაქცევა.

#### (კონკრეტულად რაში გამოიხატა ძალადობა)

- 
- 
- 
3. მსხვერპლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი და მისამართი გარსევან კლიმიაშვილი, დაბადებული 1977 წლის 22 სექტემბერს ქუესტაფონში, მცხოვრები ქ.თბილისში, გოგოლის ქუჩა №99-ში.

- 
- 
- 
4. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი  
ნოშრევან კლიმიაშვილი, დაბადებული 1976 წლის 17 იანვარს ქ. ზესტაფონში, პროფესიით ეკონომისტი, მცხოვრები ქ. თბილისში, გოგოლის ქუჩა №99-ში

#### 5. ძალადობის ფორმა (გაუსვით ხაზი):

ა) ფიზიკური; ბ) ფსიქოლოგიური; გ) ეკონომიკური; დ) სექსუალური; ე) იძულება.

6. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დანმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულია (გაუსვით ხაზი):

- ა) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს;
- ბ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;
- გ) მოძალადის არასრულწლოვანისაგან განცალკევება;

- დ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიხსლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- ე) მოძალადისთვის იარაღით, მათ შორის სამსახურებრივ-სამშაბლო იარაღით სარგებლობის აკრძალვა;
- ვ) მოძალადისთვის სამსახურებრივ-სამშაბლო იარაღით სარგებლობის შეზღუდვა
- 
- 
- 

- ზ) მოძალადისათვის იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის გაცემის აკრძალვა;
- თ) იარაღის, მათ შორის სამსახურებრივ-სამშაბლო იარაღის ჩამორთმევა და შენახვა;
- ი)
- 
- 
- 

#### **(სხვა ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის)**

7. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულია მსხვერპლის დაცვის შემდეგ ღონისძიებები **(გაუსვით ხაზი)**:
- ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდება;
- ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში მოთავსება;
- გ)
- 
- 
- 

#### **(გრაფა ივსება საჭიროების შემთხვევაში)**

8. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოძალადეს დაეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
9. შემაკავებელი ორდერი ძალაშია მისი გამოცემისთანავე.
10. შემაკავებელი ორდერი შედგენილია 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ჰბარდება მოძალადეს, ერთი - მსხვერპლს, ერთი ეგზემპლიარი რჩება ორდერის გამომცემ ორგანოში, ხოლო ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა სასამართლოს შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განსახორციელებლად.
11. ნოშრევან კლიმიაშვილმა უარი განაცხადა ოქმზე ხელის მოწერაზე მოძალადის ხელმოწერა შემაკავებელი ორდერის მიღებაზე ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა

მსხვერპლის ხელმოწერა შემაკავებელი ორდერის მიღებაზე ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა

12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს პირველი ასეულის პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი ნიკანდრო ქირია  
(შემაკავებელი ორდერის გამოცემი თანამდებობის პირის სახელი, გვარი და თანამდებობა)

(თანამდებობის პირის ხელმოწერა)

## დანართი N2

### შემაკავებელი ორდერის ოქმი N#00000

1. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი გარსევან კლიმაშვილი, დაბადებული 1977 წლის 22 სექტემბერს ქუესტაფონში, მცხოვრები ქ.თბილისში, გოგოლის ქუჩა N99-ში, ტელ: 344 45678909

2. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონი ნოშრევან კლიმაშვილი, დაბადებული 1976 წლის 17 იანვარს ქ. ზესტაფონში, პროფესიით ეკონომისტი, მცხოვრები ქ. თბილისში, გოგოლის ქუჩა N99-ში, ტელ: 423 45624568

3. მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი ელისო ლუსკივაძე, მცხოვრები ქ. თბილისში, გოგოლის ქუჩა N98-ში, ტელ: 456 78976532

4. ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია:

1. შემთხვევის თარიღი:	13 მაისი 2010 წელი
2. შემთხვევის ადგილი:	ქ.თბილისი, გოგოლის ქუჩა ბინა №9
3. დრო:	<u>12 საათი და 30 წთ.</u> ძალადობის დრო <u>14 საათი და 55 წთ.</u> შეტყობინების დრო <u>15 საათი და 15 წთ.</u> შემთხვევის ადგილზე მისვლის დრო
4. არსებული მხარეები (გაუსვით ხაზი)	<u>მსხვერპლი</u> <u>მოძალადე</u> ბავშვი    მოწმე
5. ძალადობის სახე: (რამი გამოიხატა ზიანი)	ფიზიკური ძალადობა. მოძალადემ ფიზიკური შეურაცხოვა მიაყენა, მსხვერპლს, დაზარალებულს მარჯვენა თვალის არეში აღენიშნება მსუბუქი სისხლჩაქცევა _____ _____ _____
6. ვის აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, რა სახის და სად	შემთხვევის ადგილზე გამოძახებულ იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, გარსევან კლიმიაშვილს აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება _____ _____ _____
7. იარაღის გამოყენება: (გაუსვით ხაზი)	გამოიყენა სცადა გამოყენება დაემუქრა არ გამოიყენა
8. იარაღის შენახვის და ტარების უფლება (გაუსვით ხაზი)	მოძალადეს აქვს შენახვის უფლება, აქვს ტარების უფლება, აქვს სამსახურებრივ-სამშტატო იარაღი
9. მსხვერპლის დამოკიდებულებათან მოძალადესთან (გაუსვით ხაზი)	დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილგბელი, მშვილგბლის მეუღლე, ნაშვილები, მიძღვნილი ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სძმე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე
10. ოჯახის წევრები	ალბერტ კლიმიაშვილი - მამა ლაურა სარია - დედა

<p>11. არასრულწლოვანის მონაწილეობა (გაუსვით ხაზი)</p>	<p>იღებდა მონაწილეობას ინციდენტში; არის ინციდენტის მოწმე; არ მონაწილეობდა ინციდენტში;</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p><b>(რამდენი არასრულწლოვანი მონაწილეობდა და რაში გამოიხატა ინციდენტში მონაწილეობა)</b></p>
<p>12. შეგროვილი სამხილები (თუ არის)</p>	<p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p>
<p>13. მსხვერპლის აღქმა (გაუსვით ხაზი)</p>	<p>ა) მსხვერპლს მიაჩნია, რომ მოძალადემ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ან მოკლას იგი; ბ) მსხვერპლი განცალკევდა ან ცდილობს განცალკევებას;</p> <p>გ) მსხვერპლი ითხოვს კანონით გათვალისწინებულ დაცვას;</p> <p>დ) მსხვერპლი ითხოვს:</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p>
<p>14. მოძალადის აღქმა (გაუსვით ხაზი)</p>	<p>ა) მოძალადე აღიარებს მომხდარ ფაქტს;</p> <p>ბ) მოძალადე უარყოფს მომხდარ ფაქტს;</p> <p>გ) მოძალადე ადანაშაულებს მსხვერპლს;</p> <p>დ) მოძალადე ითხოვს:</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p>
<p>15. დამატებითი ინფორმაცია</p>	<p><u>ოჯახი შედგება ოთხი წევრისაგან, ასაკოვანი მშობლებისაგან და ორი შუახნის უცოლშვილო მამაკაცისაგან (მოძალადე და მსხვერპლი).</u></p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p><b>(რასაც აუცილებლად ჩათვლის ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი)</b></p>
<p>16. ოქმს თან ერთვის (გაუსვით ხაზი)</p>	<p>ა) მსხვერპლის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი; ბ) მოძალადის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი; გ) მოწმის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი.</p> <p><b>(ახსნა-განმარტებაში/გამოკითხვის ოქმში აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული გარემოებები (რა მოხდა) და მისი გამომწვევი მიზეზი)</b></p>

5. პოლიციის მიერ მიღებული ზომები: გამოცემულ იქნა შემაკავებელი ორდერი, ერთი გადაეცა მოძალადეს, ერთი მსხვერპლს, ერთი დარჩა პოლიციაში, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარდგენილ იქნა საქალაქო სასამართლოში

---



---



---

**(განხორციელებული მოქმედების მოკლე აღწერა)**

6. შემაკავებელი ორდერის ოქმს გავეცანი და ვეთანხმები მის შინაარსს:

---



---



---

**(მსხვერპლის ხელმოწერა)**

---



---



---

**(მოძალადის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)**

---



---



---

**(მოწმის (თუ არის) ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)**

7. შემაკავებელი ორდერის ოქმი დგება ერთ ეგზემპლარად და რჩება მის გამომცემ ორგანოს. ოქმის შემდგენის ხელმოწერით დამოწმებული ოქმის თითო ასლი წარედგინება ზემდგომედველ პროკურორს და სასამართლოს.

8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს პირველი ასეულის პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი ნიკანდრო ქირია.

**(ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა)**

---

**(ხელმოწერა)**

## ინსტრუქცია ოჯახში ძალადობის საკითხებზე

პოლიცია **ვალდებულია** ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში

- დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.
- პოლიციას არა აქვს უფლება, ოჯახში ძალადობის შემთხვევა მიიჩნიოს ნაკლებმნიშვნელოვნად ძალადობის სხვა შემთხვევებთან შედარებით.

### ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინებას პოლიციელი იღებს:

- დაზარალებულისაგან;
- ძალადობის მოწმისაგან;
- ოჯახის წევრისაგან;

მსხვერპლის თანხმობის შემთხვევაში პირისაგან, რომელიც მსხვერპლს უწევს:

- ფსიქოლოგიურ დახმარებას;
- სამედიცინო დახმარებას;
- იურიდიულ დახმარებას;

ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევაში:

- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსაგან;

### პოლიციელის მოქმედებები

1. შეტყობინების შესახებ ინფორმაციის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემა (დანართი 6);
2. შემთხვევის ადგილზე გამოცხადება;
3. ზომების მიღება ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად (საჭიროების შემთხვევაში იყენებს მის ხელთ არსებულ იძულების ღონისძიებებს);
4. განცალკევებულად გამოკითხოს და ახსნა განმარტებები ჩამოართვას (დანართი 4):
  - სავარაუდო მსხვერპლს;
  - მოწმეს;
  - მოძალადეს;
  - არსებობის შემთხვევაში აუცილებლად, ბავშვებს;

**შენიშვნა:** პოლიციელი ვალდებულია ახსნაგანმარტებების ჩამორთმევის დროს იყოს კორექტული, ზრდილობიანი, არ განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლითაც უფრო მეტად დაძაბავს ოჯახში არსებულ ვითარებას;

5. ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ:
  - მას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
  - მას აქვს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება;
  - მას აქვს იდენტობის უფლება;
  - მას აქვს აზრის და გამოხატვის თავისუფლება;

- მას აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლება;
  - ქორწინება ემყარება მეუღლეთა თანასწორუფლებიანობას და ნებელობას;
  - ბავშვის უფლებები დაცულია საქართველოს და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, მას აქვს სწავლებისა და განვითარების უფლება;
6. მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;
  7. მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და ბავშვის გადაყვანა თავშესაფარში (ალტერნატიულ თავშესაფარში – ნათესავების ან ახლობლების საცხოვრებელი სახლები);
  8. მსხვერპლის სხვა ადგილას გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოს საცხოვრებელი ადგილიდან მისი პირადი ნივთების წამოღება;
  9. უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ.

**შენიშვნა:** თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოწმეს მოძალადისაგან შეეკმნება პრობლემები, დამატებით გააფრთხილოს მოძალადე, რომ აგრესიული მოქმედებებისაგან შეიკავოს თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;

10. შეავსოს შემაკავებელი ორდერის ოქმი 2 ეგზემპლარად (დანართი 11);
  - ერთი შესაძლო უმოკლეს ვადაში გადასცეს ზედამხედველ პროკურორს;
  - მეორე ეგზემპლარი რჩება მასთან, რომელსაც წარუდგენს უშუალო უფროსს;
11. გასცეს შემაკავებელი ორდერი 3 ეგზემპლარად (დანართი 10);
  - ერთი გადაეცემა ოჯახში ძალადობის მსხვერპლს;

**შენიშვნა:** ბავშვებზე ძალადობის შემთხვევაში არამოძალადე მშობელს, ან მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოს;

- მეორე მოძალადეს;
- მესამე ეგზემპლარი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება საქალაქო (რაიონულ) სასამართლოს;

**შენიშვნა:** სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი გაუქმების შესახებ, ან დამტკიცებისა და დამცავი ორდერის გამოცემაზე უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ;

12. პოლიცია ვალდებულია თავის ანგარიშში ცალკე გამოყოს მონაცემები ოჯახში ძალადობის ფაქტების, მიღებული ზომების, მსხვერპლთა რაოდენობის, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების, აგრეთვე მოძალადის სხვა მონაცემების შესახებ.

**შენიშვნა:** შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

